# საარბიტრო

სპორტული გაზეთი · სამშაბათი 3 ივნისი 2003 №100 (1871) · ფასი 50 თეთრი



ბადრი კეთილაძის ფოტო

# 8 დღე მღელვარებამდე

## ივო შუშაკი დიდ ამბავშია, ცაკარიასი დიდ გულისწყვეტაში

ერთი მატჩიც და, საქართველოსთვის სეზონი დაიხურება.

საქართველოს ნაკრები გუშინ შეუდგა საირლანდიოდ მზადებას. თუმცა გუშინდელი ვარჯიში სრულფასოვანი არ იყო, რადგან გამოძახებულთაგან ნახევარი ესწრებოდა, მეორე ნახევარი კი დღეს ჩამოდის თბილისში.

ჩამოსასვლეთა შორის არის კახა კალაძე, ვინაც ჩემპიონთა თასს ამ უქმეებზე იტალიის თასიც მიამატა.

ჩამოდიან გიორგი ნემსაძე, ზურაბ ხიზანიშვილი და შოთა არველაძე, ის ფეხბურთელები, შოტლანდიის თასის ფინალში მეტოქეებად რომ მოიყარნენ, გამარჯვებული კი არველაძე გამოვიდა — წლეულს მან მესამე სქოთური ჯილდო მოიგო.

თავად ივო შუშაკი კი, ირლანდიასთან შეხვედრას იმედიანად რომ ხვდება, დღეს გამართავს პრესკონფერენციას და მზადების თაობაზე წვრილად ილაპარაკებს.

ამასობაში საქართველოდან უცხოელი მწვრთნელები მიდიან. „ტორპედოს“ უკრაინელ თავკაც ალექსანდრ შტელინს რკინიგზელი ლუის ცაკარიასიც ამოუდგა. და თუ შტელინმა საქართველოდან ვიცეჩემპიონობა გაიყოლა, ცაკარიასმა ჩემოდანში მხოლოდ პირადი ნივთები ჩაილაგა.

პერუელს დიახაც ჰქონდა წასვლის მიზეზები. თავად ფედერაციის გულგრილობა და მსაჯთა შეცდომები დაასახელა გულაყრის მიზეზად და, რაც მთავარია, „ლოკომოტივის“ საჩემპიონო ამბიცია აუხდენელ ოცნებად ჩათვალა.

საერთოდ კი, „ლოკომოტივი“ დღეს, ფაქტობრივად, ქაღალდზეღა არსებობს. აბა, სხვა რა ითქმის, როცა 11 ფეხბურთელი თავად კლუბმა გაუშვა, დანარჩენები გაქცევაზე არიან და ბოლოს მწვრთნელიც წაუვიდა თავისი თანაშემწეებიანად.

„ლოკომოტივს“ საქმის წაღმა შემოსაბრუნებლად მთელი ზაფხული აქვს, ეროვნულ გუნდს კი ირლანდიამდე რვა დღე დარჩა.



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ქალების თიხნარ-სისხლნარი

როლან გაროსის სათიხნარო სლემტურნირი თითქოს მშვიდად მიედინებოდა, მომგებები იგებდნენ და, ვინაიდან ვერმომგებთა არმიაც პირველ წრეებში ჩოგანსა და ჩოგანს შუა დნებოდა, სენსაციათა ალბათობამ მინიმუმამდე იკლო, თაკარა მზით და ერთფეროვნებით შეწუხებულ პარიზულ მაღალ პუბლიკას იმედი თითქმის გადაეწურა.

და აი, მოსახდენი მოხდა: ჩოგნის ქნევა მესამე წრეში შეწყვიტა კაცმეჩოგნეთა ამქარში პირველ ოსტატად ჩაწერილმა ლეიტონ ჰიუიტმა. მისმა მომგებმა ესპანელმა ტომი რობრედომ მომდევნო მეტოქედ გადაყრილი თავად გუსტავო კუერტენი — საფრანგეთის ღია პირველობის სამჯერ მომგები ჯადომეთიხნარე არ დაინდო და ისიც ჰიუიტის გზას გაუყენა.

ეს კაცებში, ქალებში კი სულაც „სისხლის მდინარეები“ დაედინა პარიზის წითელ თიხნარს. ჯერაც უცნობმა რუსმა ვერა ზვონარიოვამ დიდი მტაცებელი მოკლა — თვით ვინუს უილიამსი გააგდო. არადა, ვინუსი ბოლო ოთხი სლემფინალის მონაწილე ბრძანდებოდა, თანაც ფინალებში მუდამ თავის უმცროს დას სერენას ხვდებოდა. ახლა კი, უილიამსების ოჯახურ დავად ქცეულ ფინალში ერთი ადგილი გამოთავისუფლდა. რაც შეეხება მეორეს, სერენა ჯერჯერობით მაგრად დგას თავის ჯანიან ფეხებზე, მეტიც, თანდათან შემოეცალნენ მთავარი მეტოქეები. ვინუსის გარდა ამ უქმეებმა ჯენიფერ კაპრიატი და ლინდსი დევენპორტიც იმსხვერპლა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS

ვინუს უილიამსი



გუგა კუერტენი ტომი რობრედომ ლეიტონ ჰიუიტის გზას გაუყენა



# რაც ბრწყინავს, ყველა ოქრო როდია

## მებაღემ ბაღი განწმინდა

**მეთოთხმეტე** ეროვნულის მეორე ეტაპის დაწყებამდე აწ უკვე ყოფილი ვიცე-ჩემპიონი „ლოკომოტივი" ფესვმაგარი ხის იმ ჯანმრთელ ნაყოფს წააგავდა, რომელიც შეხედულებით სხვებს თუ ვერ სჯობდა, არც არაფერში ჩამოუვარდებოდა. მის ელვარებას ანგარიშს უწევდნენ, პატრონს კი მისი ეიმედებოდა.

ხე ძლიერი იყო, რომელსაც ბაღის პატრონიც აფასებდა და მებაღეებიც თავზე დაჰკანკალებდნენ. ბარაქიან მოსავალს კი ელოდნენ მისი გულშემატკივრები, მაგრამ ერთხელაც ნაყოფს შიგნიდან ჭია გაუჩნდა, ნელ-ნელა გამოხრა და ისე დაალპო, რომ მისი ასე წახდენის ამბავი ვერავინ დაიჯერა.

ჰოდა, წამხდარი ნაყოფი ერთხელაც ხეს მოსწყდა და მიწაზე ისე დაენარცხა, რომ გვერდზე გადაგორებაც ვერ მოახერხა. პატრონი მოსავლის გაჩანაგებას შეეგუა, ხეს მოსაჭრელად ვერ შეელია, მაგრამ ცხელ გულზე სულ ერთიანად დაბერტყა და ახალი მოსავლის იმედად თუ იქნება.

„ლოკომოტივს" ბედი მას შემდეგ შეუტრიალდა, რაც კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი ფეხბურთელები „კოპენჰაგენთან" თამაშისას „დააწიოკა", ფსონის საკუთარი გუნდის საზიანოდ ჩახვედით და ტოტალიზატორში მოგებული თანხით ჯიბეები გაისქელეთო.

კლუბს, სადაც მსგავსი ეჭვები გაჩნდება, სახეიროც არაფერი ელოდა. დაძაბულობამ პიკს ჩემპიონატის დასრულებამდე უწია, მაშინ, როცა რკინიგზელთა თავკაცობამ „ლოკომოტივის" მოთამაშეებს მორიგი ბრალდება წაუყენა — „დინამოს" საშინაო თამაში შეგნებულად დაუთმეთო.

„ლოკომოტივი", ფაქტობრივად, დაიშალა. თერთმეტი ფეხბურთელი თავად კლუბის ხელმძღვანელობამ დაითხოვა, დანარჩენები კი დღე-დღეზე ახალ წინადადებებს ელიან და საქართველოში ორიოდ მათგანი თუ დარჩება.

ჩემპიონატი გასულ პარასკევს დამთავრდა, კვირას კი აკაკი ჩხაიძესთან რკინიგზელთა პერუელი მწვრთნელი ლუის ცაკარიასი და მისი თანაშემწეები სტუმრობდნენ. თავიდანვე ნათელი იყო, ცაკარიასს რკინიგზელ თავკაცთა პროექტი — ახალგაზრდულ გუნდთან მუშაობა — დიდად ვერ მოხიბლავდა, ამიტომ პერუელმა თავის თანაშემწეებიანად გადადგომა არჩია.

კვირასვე ლუის ცაკარიასმა თავის აწ უკვე ყოფილ შეგირდებთან პატარა სუფრა გადაიხადა. გამოსამშვიდობებელ პურობაზე ოცამდე კაცი მოგროვდა.

იქ არავის უსაუბრია პრობლემებზე, არც არავინ იცოდა, რა ბედი ელოდა მომავალში. ჩხაიძემ და კომპანიამ გუნდიდან თერთმეტი ფეხბურთელი კი დაითხოვეს, მაგრამ სინამდვილეში თავისუფლები არიან თუ არა, არც ეს იცოდა ცაკარიასის ყოფილმა ამქარმა.

თუ „ლოკომოტივის" ხელმძღვანელებს ვერწმუნებით, იმ ფეხბურთელებს, რომელთაც კლუბთან კონტრაქტი არ აკავშირებთ და „ლოკომოტივთან" პირადი ვალი არ დარჩენიათ, ოთხივე მხარის გზა ხსნილი აქვთ.

ამ საქმის გარჩევა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მანამდე კი ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ, სადღეისოდ „ლოკომოტივი" პრაქტიკულად დაშლილია.

**მამუკა ქვანტალიანი**



ცაკარიასმა და „ლოკომოტივმა" დიდი იმედებით დაიწყეს...

# ცაკარიასი გადია არ არის

## პერუელმა ფედერაცია და მსაჯები ვერ იგუა

*ლუის ცაკარიასი საქართველოდან ისე მიდის, რომ თავის, როგორც მწვრთნელის სიძლიერეში ვერ დაგვარწმუნა. მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე მისმა გაწვრთნილმა „ლოკომოტივმა" ვერც ერთი პრინციპული თამაში ვერ მოიგო. დარჩა არასახარბიელო შედეგი და რკინიგზელთა გათელილი იმიჯი, რომლის აღდგენასაც გვარიანი ხანი დასჭირდება.*

*ცაკარიასმა ჩვენში მხოლოდ ჟურნალისტების მიმართ კეთილგანწყობილი კაცის სახელი დატოვა, არ ყოფილა შემთხვევა, ჩვენი კითხვებისთვის თავი აერიდებინოს.*

*გუშინაც, ბოლო ინტერვიუზე კაფე „ნიკალაში" დაგვიბარა, მასპინძელი ჩვენ ვიყავით, სტუმარი კი ცაკარიასი, ვისაც განელი ნანა გვერდიდან არ შორდება.*

*პერუელმა თითქოს გულით ილაპარაკა, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ სათქმელი ბოლომდე არ გვითხრა, მიდის და, ფეხები უკან რჩება, ეტყობა, იძულებულია, აქაურობას გაეცალოს, თორემ თავისი ნებით წამსვლელი არ ჩანდა*



**— ჰერ ლუის, გავიგეთ, წასვლა გადაგიწყვეტიათ...**

— „ლოკომოტივთან" კონტრაქტი დამთავრდა. ახლა უმჯობესი იქნება, აქაურობას გავეცალო. კლუბის თავკაცებთან უკვე მოვილაპარაკე, სულ კი არ მივდივარ, გარკვეულწილად „ლოკომოტივში" ვრჩები. ამიერიდან მე რკინიგზელთა წარმომადგენელი ვიქნები ევროპაში, ყველანაირად ვეცდები, „ლოკომოტივის" პერსპექტიული ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში მოვაწყო.

**— ამას თქვენ „ლოკომოტივის" თავკაცობისასაც თავისუფლად შეითავსებდით, მწვრთნელობაზე უარი რატომ განაცხადეთ?**

— მე დავრწმუნდი, რომ „დინამოსთან" საჩემპიონო ჭიდილს აზრი არ ექნებოდა. მათ უკეთესი პირობები და უფრო დიდი გასაქანი აქვთ. თანაც ფედერაციის ფეხბურთისადმი დამოკიდებულებამ და მსაჯებთან ჭიდილმა გამათავა კაცი. ერთ მაგალითს მოვიყვან: შარშან, სულ ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, „ლოკომოტივი" სტუმრად „მერანს" ეთამაშებოდა. გავიყვანე გუნდი მოედანზე, სრულფასოვანი მოთელვა ჩავატარეთ, მასპინძელი კი სათამაშოდ არ გამოდიოდა. გავიდა თხუთმეტი წუთი, ნახევარი საათი, უფრო მეტი და ამის შემდეგ ფედერაცია თამაშს მავალდებულებდა. ყველა დალაგებულ ქვეყანაში ჩემს გუნდს გამარჯვებას ჩაუთვლიდნენ, „ლოკომოტივი" კი იძულებით გაიყვანეს სათამაშოდ და ჩვენ ის მატჩი წავაგეთ.

მეორე ეტაპზე „სიონთან" შინ უნდა გვეთამაშა. მესმის, რომ ეროვნული გუნდის ინტერესები ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს, მაგრამ თუ ჩემს სტადიონზე არ მათამაშებ, მაშინ თბილისში მაინც გამოეძებნათ მოედანი, რათა მასპინძლის უფლებით მესარგებლა. წავედით ბოლნისში, სადაც მსაჯებმა ტენდენციურად განსაჯეს, ფეხბურთელებიც დამიშავდნენ და თამაშიც წავაგე. კიდევ რამდენიმე ფაქტის დამოწმება შემიძლია, მაგრამ ეგ არაფერს შეცვლის, ამიტომ გადავწყვიტე, აქაურობას გავეცალო. და კიდევ ერთი, ყველა მსაჯს ერთ ქვაბში ვერ მოვაქცევ, საქართველოში კარგი არბიტრებიც გყავთ და უვარგისებიც.

**— არა მგონია, „ლოკომოტივის" პრობლემა მხოლოდ ცუდი მსაჯობა და ფედერაციის გულგრილი დამოკიდებულება ყოფილიყო.**

— რა თქმა უნდა, სხვა პრობლემებიც გვქონდა. მარტო რაფაელ გალიარდოს უეცარი ავადმყოფობა რად ღირს. საქართველოში მისი შემცვლელი ვერ ვიპოვე. გალიარდოს პრობლემა შეკრებისას რომ შემეტყო, იქნებ სხვაგვარად ამეწყო „ლოკომოტივის" საქმეები, მაგრამ მერე სხვა არჩევანიც აღარ მქონდა.

**— გალიარდოს წასვლის საპატიო მიზეზი გააჩნდა, თქვენმა ნაქებმა ნანამ კი ვერ გაამართლა...**

— მე დღესაც მგონია, რომ ნანა ეშუანს იმაზე გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე საქართველოს დაანახა. ბიჭი ჩამოსული არ იყო, გზაში დახვდნენ და რაც ჯიბეში ჰქონდა, ყველაფერი წაართვეს. უცხოელი ასეთ სტრესს ადვილად გადაიტანდა?!

მერე უნდა გენახათ, რა ტრავმებით თამაშობდა. მას ხომ სრულ ჯანზე ერთი თამაშიც არ ჩაუტარებია. მისი ფეხების შემყურეს გული მიკვდებოდა, თანაც მოედანზეც უმოწყალოდ ურტყამდნენ. ვიცოდი, მისგან ბევრს მოითხოვდნენ და ამიტომ ვაყენებდი, ლეგიონერის ბედი ხომ ასეთია.

**— რა ელით ნანას, სალასარს და ნალვარტეს, ისინიც ხომ თქვენთან ერთად მიდიან?**

— არ ვიცი, ვინ იქნება „ლოკომოტივის" მწვრთნელი და დასჭირდება თუ არა ეს ფეხბურთელები. სხვისი რა გითხრათ, მაგრამ ნანა სიამოვნებით დარჩებოდა და თავის რეალურ ძალასაც გამოაჩენდა. არადა, მწამს, ის არ დაიკარგება და ევროპაში არც კლუბის მოძებნა გაუჭირდება.

**— „ლოკომოტივის" თავკაცობამ „დინამოსთან" სკანდალში თქვენი გვარიც ახსენა. ცაკარიასმა ყველაფერი იცოდა და ჩვენც მისგან შევიტყვეთ ეს ამბავიო.**

— ნაწილობრივ მართალი უთქვამთ. თამაშამდე ორიოდ დღით ადრე ჩემთან ორი ფეხბურთელი მოვიდა, რომლებსაც მე ყველაზე მეტად ვენდობოდი და „დინამოს" მიერ შემოთავაზებული ფულის ამბავიც გამანდეს. რა თქმა უნდა, მე კატეგორიული უარი განვაცხადე და ხელმძღვანელებიც საქმის კურსში ჩავაყენე. ამის მერე არ ვიცი, რა მოხდა, თამაშისას ბიჭებისთვის არაფერი შემიმჩნევია და არც არაფერი გამიგია.

**— თქვენ წასვლა გადაწყვიტეთ, არადა, შეგეძლოთ, ჩხაიძის წინადადებას დაჰყაბულებოდით, ახალგაზრდული გუნდი შეგექმნათ და ორი-სამი წელიწადი პასუხს არავინ მოგთხოვდათ.**

— ასე ადვილად ვერ გადავჭრით პრობლემას. მე გუნდში მყავდა ლომაია, სალუქვაძე, ორბელაძე, სირაძე, კვარაცხელია, ბურნაძე, სოსელია, გიორგი ონიანი და ნანა. ყველა მათგანი ახალგაზრდა და პერსპექტიული ბიჭია, მათზე ახალგაზრდა კიდევ ვინ უნდა მეთამაშებინა?! უფრო პატარებისთვის თქვენებურ უმაღლეს ლიგაში ადგილი არ არის, უძლიერესებში ხომ უნდა დავრჩენილიყავით. ამიტომ მგონია, რომ სწორად მოვიქეცი.

**— ოდესმე თუ ჩამოხვალთ საქართველოში?**

— გამგზავრებას დღეს ვაპირებდი, თუმც ბილეთების საქმე ვერ მოგვარდა. უახლოეს დღეებში გერმანიაში გავემგზავრები, პირად საქმეებს მივხედავ და თანაც „ლოკომოტივისთვის" ვისაქმიანებ, რათა მისი ფეხბურთელები გერმანულ კლუბებში მოვაწყო. მერე კი, იმედი მაქვს, ისევ ჩამოვალ, ამიტომ არ გემშვიდობებით, უბრალოდ, ვამბობ, ნახვამდის...

**ეკა ჯაფარიძე**
**მამუკა ქვანტალიანი**

## იტალია

სერია A: პლეი აუტი
საპასუხო მატჩი

ატალანტა 1:2 *რეჯინა* (0:0)

## შვედეთი

IX ტური

ჰელსინგბორგი 0:4 ენკიოპინგი
ელფსბორგი 2:1 გიოტებორგი
იოსტერი 0:2 მალმიო
აიკ 3:3 იურგორდენი

## ფინეთი

VI ტური

ჰაკა 5:1 ლაჰტი
იოკერიტი 0:1 ტამპერე

## ნორვეგია

IX ტური

მიოლდე 3:0 ბრანი

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

## 30 ტური

გურია 1:0 ხობი
იბერია 3:3 ლოკომოტივი 2
სამგურალი 3:1 მცხეთა
სამტრედია 0:2 დინამო 2
ცხინვალი 2:1 მერცხალი
ჭაბუკთა ნაკრები 2:1 ქობულეთი
სპარტაკი 2:0 ლაზიკა
თსუ 3:0 ალაზანი
„ალაზანი" არ გამოცხადდა

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 30 | 19 | 7 | 4 | 64:30 | 64 |
| მერცხალი | 30 | 19 | 7 | 4 | 62:29 | 64 |
| მცხეთა | 30 | 17 | 7 | 6 | 50:23 | 58 |
| სამგურალი | 30 | 15 | 8 | 7 | 42:26 | 53 |
| სპარტაკი | 30 | 15 | 4 | 11 | 49:31 | 49 |
| ცხინვალი | 30 | 14 | 6 | 10 | 37:26 | 48 |
| ქობულეთი | 30 | 14 | 5 | 11 | 28:25 | 47 |
| დინამო 2 | 30 | 13 | 6 | 11 | 37:29 | 45 |
| ლოკომოტივი 2 | 30 | 11 | 11 | 8 | 32:25 | 44 |
| თსუ | 30 | 10 | 8 | 12 | 28:33 | 38 |
| ივერია | 30 | 10 | 7 | 13 | 39:41 | 37 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 30 | 10 | 4 | 16 | 40:47 | 34 |
| გურია | 30 | 9 | 7 | 14 | 32:44 | 34 |
| ხობი | 30 | 6 | 5 | 19 | 17:44 | 23 |
| ალაზანი | 30 | 5 | 6 | 19 | 30:77 | 21 |
| სამტრედია | 30 | 3 | 2 | 25 | 24:81 | 11 |

# შუშაკურმა საქართველოს საირლანდიო დაიწყო

## არსენალი და არსენი არ მაინტერესებს

**საქართველოს** ეროვნული ნაკრები საირლანდიოდ გუშინ შეიკრიბა და პირველი ვარჯიში „ეროვნულზე" გამართა.

ივო შუშაკს საამხანტოდ 22 ფეხბურთელიც ჰყავს გამოძახებული და სრულად მათ ხვალისთვის მოუყრის თავს, გუშინ კი ხორვატის განკარგულებაში 12 ფეხბურთელი იყო: *გიორგი ლომაია, დავით გვარამაძე, გიორგი შაშიაშვილი, ალეკო ამისულაშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, დავით კვირკველია, ვიტალი დარასელია, ლადო ბურდული, დავით სირაძე, მალხაზ ასათიანი, რატი ალექსიძე და ალექსანდრე იაშვილი.*

ვარჯიში საღამოს შვიდის ნახევარზე დაიწყო. ტრადიციულ მოთელვას ნაკრებმა ფლანგური ჩაწოდებები და კარში დარტყმები მოაყოლა, ბოლოს კი თორმეტეულმა გაწელვა-გაჭიმვებით დაასრულა ვარჯიში.

ჟურნალისტებისთვის მუდამ გახსნილი და ენამჭევრი შუშაკი პრესკონფერენციას ხვალ ჩაატარებს — როცა გუნდი სრულად შეიკრიბება. გუშინ კი ბატონმა ივომ ოდენ გიორგი ლომაიაზე და მის ლონდონის „არსენალში" შესაძლო ტრანსფერზე ილაპარაკა:

— „არსენალს" და მის მწვრთნელს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ირლანდია — საქართველოს მატჩს ვინ დაესწრება, ნაღდად არ მაინტერესებს. ისე კი, ლომაია ევროპული დონის მეკარეა.

დღესვე ჩამოვლენ თბილისში *გიორგი ქინქლაძე, ლევან ცქიტიშვილი, კახა კალაძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, გივი დიდავა, გიორგი დემეტრაძე, შოთა არველაძე, გიორგი ნემსაძე* და *ზურაბ ხიზანიშვილი,* თუმცა მათი უმრავლესობა ნაკრებს ხვალიდან შეუერთდება.

**დავით თავართქილაძე**



მალხაზ ასათიანი



„დინამოს" დუბლის შემდეგ ივო შუშაკმა დასასვენებლად ორი დღე იკმარა და გუშინ „ეროვნულზე" ნაკრების საირლანდიოდ მზადებას შეუდგა

# შვეიცარიამ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი შვილი მოაკლო — კობიაშვილი

**საქართველოს** ეროვნულ გუნდს 11 ივნისს ირლანდიასთან მატჩში ძალიან ფასეული ფეხბურთელი მოაკლდება — ლევან კობიაშვილი.

ალბათ გახსოვთ, კობიაშვილი საქართველო — შვეიცარიის მატჩში დაშავდა და შეხვედრა მუხლმტკივანმა ჩაამთავრა. მას შემდეგ ლევანი ფრაიბურგში მკურნალობს, მაგრამ ტრავმა ვერა და ვერ მოირჩინა.

კობიაშვილმა 18 მაისს მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგ" — „კარლსრუეს" შეხვედრაში რამდენიმე წუთით კი ითამაშა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მისი გამოსამშვიდობებელი მატჩი იყო „ფრაიბურგთან".

ლევანი ახლა უკვე გელზენკირხენის „შალკეს" მოთამაშეა, თუმცა ჯერაც ფრაიბურგშია და მკურნალობას განაგრძობს. კობიაშვილი ვერც კი ვარჯიშობს — მუხლი მყის უსივდება. ლევანს ელექტრო და მანუალური თერაპია უტარდება და მუხლზე ყოველდღე გადახვევებს იკეთებს მალამოს დასადებად.

**დავით თავართქილაძე**



ბადრი პატარკაციშვილი

# პატარკაციშვილს ორივე დინამოს პრეზიდენტობა სთხოვა

## ჩემპიონების პატრონი თანახმაა

**ბადრი პატარკაციშვილი** თბილისი „დინამოს" საფეხბურთო და საკალათბურთო კლუბების პრეზიდენტი იქნება. ასეთი თხოვნით ცნობილ ბიზნესმენს ამავე კლუბების კაპიტნებმა მიმართეს, რასაც პატარკაციშვილი დათანხმდა.

30 მაისი „დინამოს" დღე იყო. საფეხბურთომაც და საკალათბურთომაც ერთდროულად გაიხარეს საქართველოს ჩემპიონობით. იმავე დღეს ბადრი პატარკაციშვილმა, რომელიც ორივე გუნდს პატრონობს, ფეხბურთელები და კალათბურთელები თავის რეზიდენციაში, ყოფილ რიტუალების სასახლეში მიიწვია და გამარჯვება მიულოცა. ჰოდა, სწორედ იმ შეხვედრისას მასპინძელს ჯერ ფეხბურთელთა კაპიტანმა გიორგი შაშიაშვილმა მიმართა, ჩვენთვის აუარება კეთილ საქმეს აკეთებთ, მთელი კლუბი თქვენი დამფასებელია და იქნებ პრეზიდენტობაც ითავოთო, მერე კი იგივე კალათბურთელმა ირაკლი ხოშტარიამ სთხოვა. ბადრი პატარკაციშვილმაც წინადადება მიიღო და პრეზიდენტობაზე დათანხმდა... ჯერ მხოლოდ სიტყვიერად, თუმცა თანამდებობის ქაღალდზე გაფორმება, აბა, რა პრობლემა უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**



შვეიცარიასთან დაშავებული ლევან კობიაშვილი საირლანდიო შემადგენლობას გამოაკლდა

# თბილისმა კაკილაშვილი აირჩია

**გუშინ** თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე კონფერენცია გაიმართა, რომელმაც დედაქალაქური ორგანიზაციის პრეზიდენტად ნუკრი კაკილაშვილი აირჩია.

ყოველი თბილისის დინამოელი თფფ-ს აქამდეც ხელმძღვანელობდა: 7 თვის წინ, როცა იმჟამინდელი პრეზიდენტი ავთანდილ კოკაია გადადგა, აღმასკომმა სწორედ კაკილაშვილს დაავალა ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შესრულება, გუშინ კი ერთადერთი კანდიდატი ახალი მანდატით აღჭურვა.

გუშინდელმა კონფერენციამ აგრეთვე თფფ-ს ახალი წესდება მიიღო და აღმასკომის განახლებული შემადგენლობაც დაამტკიცა. ფიფას, უეფას და სფფ-ის წესდებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად თფფ-იმ საკუთარი წესდების 25 პუნქტი შეცვალა.

კონფერენციაში მონაწილეობა სფფ-ის გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ და ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემაც მიიღეს. მათთანვე შეთანხმდა, რომ კონფერენციისას წამოჭრილი კამათი ბავშვთა ფეხბურთში დასანერგი ახალი სისტემის მიზანშეწონილობის თაობაზე 16 ივნისს სფფ-ში გაგრძელდება.

სხვათა შორის, 1981 წლის 13 მაისის დიუსელდორფული ფინალის ერთ-ერთი გმირი საქართველოში გუშინწინ დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც იენის „კარლ ცაისის" საუკუნოვანი იუბილის აღსანიშნად „საუკუნის ფინალის" რევანშზე იყო მიწვეული სხვა ყოფილ დინამოელებთან ერთად.



სიახლე საქართველოში!
35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში
სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# ნახვამდის, მთებო!

## ძოძუაშვილმა ალანიადან აშვეთიას გაასწრო



რევაზ ძოძუაშვილი

გადაწყდა — მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგას ორი „ქართული“ გუნდიც დააჭაშნიკებს. მიხეილ საჯაიას „უნტერჰახინგს“ ამ უქმეებზე ხვიჩა შუბითიძის აუე-მაც აუბა მხარი. აუე-მ მაჩანჩალა „დრეზდენის“ 4:1 ძლევით გაიკვალა გზა მეორე ბუნდესლიგისკენ. ამ გამარჯვებაში თავისი წილი ქართველმაც დადო — შუბითიძემ 62-ე წუთზე გაუტანა მასპინძლებს მეტად საჭირო გოლი.

შოტლანდიასა და იტალიაში კი ჩვენებურებმა მორიგი ტიტულებით გაიხარეს. შოთა არველაძის „რეინჯერსმა“ ასოციაციის თასის ფინალში ნემსაძე-ხიზანიშვილის „დანდის“ 1:0 მოუგო. კახა კალაძის „მილანს“ კი იტალიის თასის ფინალის საპასუხო მატჩშიც არ შექმნია მაინცდამაინც დიდი პრობლემები — „რომას“ ორი მატჩის ჯამში 6:3 აჯობა.

ჩემპიონი გახდა გოგა გახოკიძე. პსვ-ს „გრონინგენთან“ უგოლო ფრეც ეყო პირველობისთვის. თუმც, ამის მიუხედავად, გახოკიძისთვის ეს სეზონი წარმატებულად მაინც ვერ ჩაითვლება. ქართველმა ნახევარმცველმა მხოლოდ რვაჯერ შეძლო მოედანზე გასვლა, დანარჩენ დროს კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

სულაც ევროსაგზურის გარეშე დარჩა გრაცის „შტურმი“. დავით მუჯირის გუნდმა ძალიან სუსტად ჩაატარა ბოლო მატჩები და ოდენ მეექვსე ადგილს დასჯერდა.

რუსეთში თანდათან ყველაფერი ლაგდება. სეზონის სტარტზე აფოფრილი „სპარტაკ-ალანია“ უკვე ყველასთვის ხელწამოსაკრავი გუნდი გახდა. მენთეშაშვილ-აშვეთიას მონდომებამ რევაზ ძოძუაშვილის გუნდს მოსკოვში ვერაფერი შემატა. ვლადიკავკაზელები ამჯერად ალექსანდრე რეხვიაშვილის „ტორპედო-მეტალურგს“ დაეჩაგვრინენ. რუსი ჟურნალისტების შეფასებით, რეხვიაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. მიხეილ აშვეთია კი გუნდს ვლადიკავკაზში არ გაჰყოლია. დღედღეზე ის, ალბათ, მოსკოვის ცსკა-ს მაისურას მოირგებს.

მთავარი მოვლენა ამ მატჩის შემდეგ მოხდა — რევაზ ძოძუაშვილი გასახდელში ბიჭებს დაემშვიდობა და... როგორც ამბობენ, მან გუნდი დატოვა.

ლატვიაში კი ისევ შეიცვალა ლიდერი. ლევან კორღალიძის „სკონტომ“ „მეტალურგსთან“ წაიფორხილა, რითაც „ვენტსპილსმა“ ისარგებლა და პირველ ადგილზეც წამოსკუპდა. თამაზ პერტაიას „არმამ“ კი, ცხადია, ამჯერადაც წააგო, ლატვიური ჩემპიონატის მაჩანჩალა „დინაბურგმა“ იმსხვერპლა.

**კახა ზალამბერიძე**



გოგა გახოკიძე (№17) ჰოლანდიის ჩემპიონი მეორედ გახდა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. თასის ფინალი. საპასუხო მატჩი** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | რომა 2:2 | 2 | შეცვლაზე ითამაშა | | | |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | დრეზდენი 4:1 | 90 | 1 გოლი | 27 | 7 | 1 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | შ | აინტრახტი (მ) 3:1 | 74 | შეცვალეს | 15 | 1 | 1 |
| **შოტლანდია. ასოციაციის თასის ფინალი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ნ | დანდი 1:0 | 56 | გააფრთხილეს, შეცვალეს | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ნ | რეინჯერსი 0:1 | 90 | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ნ | რეინჯერსი 0:1 | 90 | | | | |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | გრონინგენი 0:0 | 0 | სათადარიგო | 8 | 1 | 1 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რაპიდი 0:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 26 | 6 | 6 |
| **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | სენტ გალენი 1:5 | 0 | სათადარიგო | 24 | 5 | 3 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვილენი | შ | ბელინცონა 1:0 | 0 | | 7 | 3 | 4 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | სატურნი 0:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 13 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | რუბინი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 10 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | რუბინი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| მიხეილ აშვეთია | სპრატაკ-ალანია | ს | ტ. მეტალურგი 1:3 | 90 | | 10 | 0 | 12 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | ს | ტ. მეტალურგი 1:3 | 90 | საგოლე პასი | 8 | 0 | 12 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 1:0 | 24 | შეცვლაზე ითამაშა | 6 | 0 | 6 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 1:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 6 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | სპარტაკი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ჩერნომორეცი | შ | როსტოვი 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 14 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | შინიკი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | შინიკი 1:1 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 7 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | სპარტაკ-ალანია 3:1 | 90 | | 10 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ს | ჩერნომორეცი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | ზენიტი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | გაზოვიკი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 7 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | გაზოვიკი 1:0 | 90 | | 11 | 1 | 7 |
| ზურაბ არჩვაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | კუზბასი 0:1 | 90 | | 12 | 0 | 9 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი ჩ. | ს | კუზბასი 0:1 | 90 | | 13 | 4 | 9 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | სპარტაკი (ნ) 0:0 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 11 | 0 | 10 |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | შ | ლისმა-მორდოვია 4:0 | 45 | შეცვალეს | 9 | 0 | 4 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | შ | ლისმა-მორდოვია 4:0 | 0 | | 0 | 0 | 4 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | ვოლინი 1:0 | 90 | | 26 | 14 | 3 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | ადანა 1:2 | 90 | | 15 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | შ | ადანა 1:2 | 90 | | 9 | 0 | 18 |
| **უნგრეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | ფერენცვაროში 0:0 | 0 | სათადარიგო | 15 | 1 | 3 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | ს | კატოვიცე 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 1 | 6 |
| ლაშა რეხვიაშვილი | რუხი | ს | ლეგია 3:3 | 0 | სათადარიგო | 8 | 0 | 14 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | რილსკი 3:3 | 90 | | 23 | 10 | 9 |
| ავთანდილ გვიანიძე | ბოტევი | ს | დობრუჯა 0:2 | 60 | შეცვალეს | 10 | 1 | 12 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნიკურაძე | კტპ | ს | იარო 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 9 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | მეტალურგსი 0:2 | 0 | | 3 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | არმა | შ | დინაბურგი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 8 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამბიძე | ბატისი | ს | კარაგანდა 0:2 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 16 |
| პაატა გამცემლიძე | ბატისი | ს | კარაგანდა 0:2 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 16 |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | ს | კარაგანდა 0:2 | 78 | შეცვალეს | 6 | 1 | 16 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ქოჯაელი ქართველებს პლუსით ებღაუჭება

## ხელფასი საჭირო რამაა

„ქოჯაელი“ თურქული სუპერლიგიდან გავარდა, ფინანსურადაც უჭირს, მაგრამ ქართველები მაინც არ ეთმობა — ქოჯაელელებს გრიგოლ იმედაძის, რევაზ ქემოკლიძისა და გივი დიდავას კიდევ ერთი სეზონით თავისთან დატოვება სურთ.

არადა, „ქოჯაელის“ ვებსაიტზე იმედაძის სიტყვებს ამოიკითხავთ — გავარდნის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ფეხბურთელები თამაშის დროსაც ვერმიღებულ ხელფასებზე ფიქრობდნენო.

შეგახსენებთ, იმედაძე და ქემოკლიძე „ქოჯაელს“ იჯარით ჰყავდა აყვანილი, ხოლო დიდავა ქუთაისის „ტორპედოსგან“ გამოისყიდა. ჰოდა, „ქოჯაელს“ სწორედ დიდავას არგაშვების უკეთესი შანსი აქვს, ვიდრე იმედაძე-ქემოკლიძის.

მაგრამ გუნდს მხოლოდ ქართველ ფეხბურთელებთან კი არა, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციასთან აქვს საქმე გასარკვევი — თურქეთის მეორე ლიგის გუნდს უფლება არა აქვს, ლეგიონერთან კონტრაქტს მოაწეროს ხელი, ან გააგრძელოს ხელშეკრულება. ქართულ სამეულთან დაკავშირებით კი „ქოჯაელს“ აქვს ისეთი იურიდიული ბერკეტები, რომ მათი შენარჩუნებისთვის იბრძოლოს — ჩვენებურებთან კონტრაქტი პლუსის პრინციპით აქვს.

**დავით თამართძილაძე**



გივი დიდავა



რევაზ ქემოკლიძე

# მზით გათანგულნი

## ქართულ ფინალს ნაპერწკალი და კარგი მსაჯობა აკლდა


REUTERS გლობუსიდან

ლორენცო ამორუზომ თამაშისას გამარჯვების გოლი გაიტანა, ნამატჩევს კი ხელი თასით და პირი ვარდით დაიმშვენა

### შოტლანდია

**ასოციაციის თასის ფინალი**

**დანდი 0:1 რეინჯერსი**

0:1 ამორუზო (66)

დანდი: სპერონი, მაკეი (მილნი 78), ხიზანიშვილი, სმიტი, ერნანდესი, რაე (ბრედი 85), ნემსაძე, მაირი, ბერჩილი (ნოვო 71), კაბალიერო, ლოველი

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

რეინჯერსი: შ. კლოსი, მალკოლმი, კ. მური, ლ. ამორუზო, ნუმანი (კ. მუსკატი 69), რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, რ. დე ბური, ნ. მაკკანი, შ. არველაძე (ს. ტომპსონი 56), მოლსი (მორის როსი 46)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ნოვო, არველაძე, მაკკანი

მსაჯი: კლარკი

47 136 მაყურებელი

**ფორცა, ლორენცო!** იტალიელმა გოლიათმა ნეილ მაკანის მიერ ჩაწოდებულ ჯარიმას საგოლე თავური მიაყოლა და „რეინჯერსმა" სეზონში მესამე შოტლანდიური ტიტული მოიგო — ასეთი რამ სქოთთა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა მეშვიდედ შეძლო.

პირველი სახიფათო მომენტი მე-8 წუთზე შექმნეს ბარი ფერგიუსონმა და შოთა არველაძემ, მაგრამ ქართველის არცთუ ძლიერი დარტყმა ჯულიან სპერონიმ გააუვნებლა.

ერთი წუთის შემდეგ შოთამ ჩინებული პასი გაუჭრა მიხაელ მოლსს, მაგრამ ჰოლანდიელმა ბურთი კარგად ვერ დაიმორჩილა და გევინ რაემ ასწავნა.

სტივ ლოველმა ნაკუთხურალ ბურთს თავი უთავაზა, მაგრამ „რეინჯერსის" კარის ხარიხას გადაევლო.

რამდენიმე წამში არველაძემ „დანდის" საჯარიმო მოედნის გარედან ჰაერში შემართულმა დაარტყა, მაგრამ ბურთმა ხარიხას გადაუფრინა.

ორ წუთში მოლსს შეეძლო გატანა — ხუთიოდე მეტრიდან თავურით ხარიხას გაარტყა ბურთი.

ამის შემდეგ, დაახლოებით ათი წუთი, მშვიდი თამაში იყო, გიორგი ნემსაძის წყალობით „დანდიმ" ბურთი დაიჭირა, მაგრამ მერე იმავ მოლსს ორჯერ უნდა გაეტანა.

შემდეგ მარკ ბერჩილმა შორიდან მოინდომა ბურთის შეგდება, მაგრამ შტეფან კლოსმა იყოჩაღა. შორი მანძილიდან ბედი გევინ რაემაც სცადა, მაგრამ ოდნავ ააცდინა მიზანს.

არველაძე ხშირად დაცვასაც ეხმარებოდა და რაეს მოცელვისთვის ყვითელი ბარათიც კი დაიმსახურა. გოლის გატანის შანსი შოთას ერთხელაც ჰქონდა — სპერონის ეშმაკურად დაურტყა თავური, „დანდის" გოლკიპერმა კი თითები წაატანა ბურთს და ისე იხსნა კარი.

„დანდის" კაპიტანმა ბარი სმიტმა კი კლოსის კარის ძელს შეაწყვიტა ბურთი.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში ღირებული არაფერი მომხდარა. „რეინჯერსი" უფრო მწვავედ უტევდა, მაგრამ საგოლე მომენტი არ შეუქმნია. ტაიმის შუაწელიდან კი თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა, რასაც ამორუზოს გამარჯვების გოლი მოჰყვა.

„დანდიმ" კაცურად გაიწია პასუხის გასაცემად. ძალიან აქტიურად ჩაერთო თამაშში ნაჩო ნავო, შმაგად იბრძოდა ლოველიც. მაგრამ „რეინჯერსმა" ყოველივე ჩაახშო.

ერთ-ერთმა ბრიტანულმა სააგენტო „სპორტინგლაიფმა" ათბალიანი სისტემით შეაფასა ფეხბურთელების გარჯა. დანდელთაგან ყველაზე მაღალი შეფასება ფაბიან კაბალიერომ, ნემსაძემ და ხიზანიშვილმა დაიმსახურეს — 8 ბალი. „დანდის" ქართველთა ნიშნებს სააგენტომ მცირე სიტყვიერი შეფასებებიც დაურთო.

*ნემსაძე* — ქართველმა შუახაზელმა თავისი ჩვეული გაწონასწორებულობა და ხედვა გამოიჩინა. კრეიგ მურის და მისი ხანმოკლე დუელი იმის მაჩვენებელია, თუ რას ნიშნავდა ნემსაძის თამაში აიბროქსელთა დაცვისთვის.

*ხიზანიშვილი* — ახალგაზრდა ქართველი მცველი თავისი ბუნებრივი სიმშვიდით და თავდაჯერებულობით გამოირჩეოდა. მან აჩვენა, თუ რატომ აღარ დარჩება ის „დანდიში" და რატომაა შესაძლებელი მისი „რეინჯერსში" გადასვლა.

რეინჯერსელთაგან უმაღლესი შეფასება მურმა და ამორუზომ დაიმსახურეს — 9 ბალი, შოთას კი ექვსიანი დაუწერეს და ეს სიტყვები უძღვნეს:

— არველაძემ პირველ ტაიმში შრომატევადი საქმე შეასრულა. მისი ჭკვიანური თავური კი სპერონიმ ძლივს მოიგერია.

ნამატჩევს „დანდის" მენეჯერი ჯიმ დაფი მსაჯობაზე გახლდათ უკმაყოფილო — საგოლე ჯარიმა დასაწიში არ იყო და ორ სადავო სიტუაციაში არბიტრმა მეტოქის სასარგებლოდ ჩასტვინა.

„ჩვენი ტაქტიკა და გუნდის საერთო ფორმა კარგი იყო, მაგრამ ბასრი პირი არ აღმოგვაჩნდა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რა ფულს ხარჯავს „რეინჯერსი" და რა დონის ფეხბურთელები ჰყავს, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ღლევანდელი თამაშით — ვფიქრობ, ჩვენს ფანებს ამის საშუალება მივეცით" — დაამატა ნათქვამს დაფიმ.

„რეინჯერსის" მენეჯერმა ალექს მაკლიშმა კი დასძინა: „თავს მოლიანად გამოფიტულად ვგრძნობ — მძიმე სეზონი გვქონდა, ყველაფრის მიუხედავად ახლოს ვიყავით და ეს შევძელით. ამ მატჩში ნაპერწკალი გვაკლდა, დაღლილები ვიყავით, მაგრამ ისიცაა, რომ „დანდი" ბრწყინვალე იყო და ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. დამატებითი დრო რომ ყოფილიყო, ძალიან ვინერვიულებდი — სამივე შეცვლა გახარჯული მქონდა. ხალხი ალბათ ფიქრობს, რომ მე რობოტი გავაკეთე, მაგრამ „რეინჯერსი" ხომ დიდი გუნდია და მას მხოლოდ გამარჯვებები მოეთხოვება".

**დავით თავართქილაძე**


REUTERS გლობუსიდან

გლაზგოელმა მცველმა ფერნანდო რიკსენმა ფაბიან კაბალიეროს გაქცევა არ დაინება

### მატჩისშემდგომი კომენტარი გიორგი ნემსაძეს და შოთა არველაძეს ვთხოვეთ

**გიორგი ნემსაძე:** პირველი ტაიმი სანახაობრივად კარგი გამოვდა, დანდელებმაც ნორმალურად ვითამაშეთ. საუკეთესო შანსი ჩვენგან ბარი სმიტს ჰქონდა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. ისე, უხეში თამაშიც იყო, ერთი-ორჯერ მეც ძალიან მეუხეშნენ. მეორე ტაიმში უკვე იგრძნობოდა, რომ თამაში ერთ გატანილ გოლამდე იყო. მზემ დააჭირა და ძალიან დაცხა. გატანილი გოლის შემდეგ „რეინჯერსმა" ბურთი დაიჭირა და კლასში განსხვავება უფრო გამოიკვეთა.

**— „დანდის" დამრიგებელმა ჯიმ დაფიმ მსაჯობაზე დაიჩივლა...**

— მსაჯობა მართლაც ცუდი იყო. ვერ გავიგე, ასეთი დაბალი დონის მსაჯი რატომ დანიშნეს ფინალზე. მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი SKY-იმ გადასცა და იქაც იგივე თქვეს. თანაც მსაჯი „რეინჯერსის" სასარგებლოდ ცდებოდა. საგოლე ჯარიმისას ხიზანიშვილმა მხარი ჩაუდგა მეტოქეს, თორემ თამაშის წესები არ დაურღვევია.

**— მიუხედავად თასის ვერმოგებისა ამ, სეზონით, საერთოდ, კმაყოფილი თუ ხართ?**

— კმაყოფილი მაშინ ვიქნებოდი, თასი რომ მოგვეგო. ექვსეულში მოხვედრა და უეფას თასის საგზური „დანდისთვის" კარგი შედეგია, მაგრამ მერჩივნა, თასი აგვეღო.

**შოთა არველაძე:** მატჩზე კარგი ატმოსფერო იყო, თამაში კი დაძაბული გამოდგა. ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ „რეინჯერსის" სათამაშო ყაიდა, ცოტა არ იყოს, განელებული გახლდათ. მაგრამ ჩვენ სეზონში სამი შოტლანდიური ტიტული მოვიგეთ — კლუბის 150-წლიან ისტორიაში ეს მეშვიდედ მოხდა — ესე იგი, ასეთი რამ ადვილი სულაც არ ყოფილა.

**— ამ მატჩში დაცვაში ხშირად ჩადიოდი — ეს მწვრთნელის დავალება იყო?**

— ისეთი თამაში იყო, ვისაც ჯანი ჰქონდა, იმას უნდა ერბინა. მეც თავს მხნედ ვგრძნობდი და რაც შემეძლო, ვიშრომე. მეორე ტაიმში მართლაც დაიმეტყო დაღლა — 27-გრადუსიან სიცხეში ასე თამაში ძნელია.

**— თამაშის შემდეგ მაგრად მოილხინეთ?**

— მაგრად ჩემპიონობის მერე მოვილხინეთ და ეს, ცოტა არ იყოს, გაგვიგრძელდა. „დანდისთან" ფინალის მერე კი თვალით აღარავინ მინახავს — ზოგი ნაკრებში წავიდა, ზოგიც შვებულებაში.


REUTERS გლობუსიდან

შოთა არველაძე

# ჩვენი აგენტი გლაზგოში

## დე ბურმა ხიზანიშვილის ბედი გადაწყვიტა


REUTERS გლობუსიდან

რონალდ დე ბური და ზურაბ ხიზანიშვილი: მომავალ თანაგუნდელებს ამ უქმეებზე სამეგობროდ არ სცალიათ

*გლაზგოს „რეინჯერსის" ნახევარმცველ რონალდ დე ბურს ამას წინათ ჰკითხეს, კლუბი ვეტერანმა ლორენცო ამორუზომ რომ დატოვოს, გუნდი ხომ არ დასუსტდებაო... დე ბურის პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო — თუ ამორუზო წავა, მის ნაცვლად „რეინჯერსში" ამომავალი ქართველი ვარსკვლავი ზურაბ ხიზანიშვილი ითამაშებს.*

*ჩვენც უკვე რა ხანია, ველით ხიზანიშვილის „რეინჯერსთან" კონტრაქტის გაფორმებას, თუმცა ჯერჯერობით სიახლე არაფერია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზურას „დანდიმ" ამ უქმეებზე იმავ „რეინჯერსთან" ქვეყნის თასის ფინალში 0:1 წააგო.*

*ზურაბ ხიზანიშვილთან ეს მცირე ინტერვიუ კი, შეიძლება ვთქვათ, ბოლოა, როგორც „დანდის" ფეხბურთელთან.*

*მას გუშინ დავუკავშირდით...*

— თასის ფინალის შემდეგ გლაზგოში აღარ შევყოვნებულვარ, ჩემი სატრანსფერო საქმეები ჩემი აგენტის მისახედია — გვითხრა ზურამ — ფინალური მატჩის შემდეგ „რეინჯერსთან" პირობების მოსალაპარაკებლად სწორედ ჩემი აგენტი დარჩა.

**— რა მოილაპარაკეს აგენტმა და „რეინჯერსმა" შენს ტრანსფერთან დაკავშირებით?**

— არაფერი ვიცი, ისე კი, შოტლანდიური პრესა ყოველდღიურად წერს, ხიზანიშვილი უკვე „რეინჯერსის" ფეხბურთელიაო. ასე არ არის, მე აგენტის სიტყვას ველი, იქნებ „რეინჯერსზე" უკეთესი კლუბისგან მივიღო წინადადება.

**— შესაძლოა, „რეინჯერსს" სხვა გუნდი ამჯობინო?**

— ვერ გეტყვით.

**— სანაკრებო შეკრებაზე როდის ჩამოხვალ?**

— 4 ივნისს თბილისში ვიქნები. არა მგონია, ახალ კონტრაქტს მანამდე მოვაწერო ხელი.

**— ჩავთვალოთ, რომ ახალ კონტრაქტს ირლანდიაში გააფორმებ?**

— გამორიცხული არ არის.

**კობა ინასარიძე**




რაც არასდროს მომხდარა: „მილანმა“ ერთ სეზონში იტალიის და ჩემპიონთა თასები მოიგო

# ჰეფი ენდი

## ბერლუსკონის მაინც აკლია

### იტალია

**თასის ფინალი**

**საპასუხო მატჩი**

**მილანი 2:2 რომა (4:1)**

0:1, 0:2 ტოტი (56, 64), 1:2 რივალდო (65), 2:2 ინძაგი (90)

მილანი: აბიატი, შიმიჩი (პელეგგი 83), ლაურსენი, ნესტა, მალდინი, გატუზო (კალაძე 88), რედონდო, ზეედორფი (რუი კოშტა 60), სერჟინიო, ფ. ინძაგი, რივალდო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

რომა: პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, ლიმა, ტომაზი (დელვეკიო 54), ემერსონი, დაკური (დე როსი 78), კანდელა (ფუზერი 85), ტოტი, ა. კასანო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: რედონდო, დაკური, ტოტი, ძებინა, სამუელი, გატუზო, ტოტი

გაძევება: კასანო (70), ტოტი (86)

მსაჯი: როზეტი

78 000 მაყურებელი

„მილანმა“ იტალიის თასი მოიგო. ფინალის საპასუხო შეხვედრაში (პირველი მატჩი რომში მილანელთა გამარჯვებით, 4:1 დასრულდა) „შავ-წითლებმა“ „რომასთან“ 2:2 ითამაშეს და გასული კვირის შუაში მოპოვებულ ჩემპიონთა თასს ახალი ჯილდო დაამატეს.

მსაჯის წამატებულ წუთამდე „რომა“ იგებდა — ფრანჩესკო ტოტიმ მოზეიმე „სან სირო“ ორი შორეული საჯარიმო დარტყმით კინაღამ უგუნებოდ დატოვა, — მაგრამ ამ ორიდან ერთი 64-ე წუთზე რივალდომ გაქვითა, ხოლო უშუალოდ საფინალო სასტვენის წინ ფილიპო ინძაგიმ გაათანაბრა ანგარიში.

არადა, 64-ე წუთამდე სტუმრები 2:0 იგებდნენ და კიდევ ერთხელ რომ გაეტანათ, თასი მათ დარჩებოდათ.

მსაჯმა მოედნიდან ორი რომაელი გააძევა. შეხვედრის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ჯერ ანტონიო კასანოს ალუმარია წითელი ბარათი, ხოლო შემდეგ მეორე ყვითელი ზემოხსენებულმა ტოტიმ მიიღო.

„ვიცოდით, რომ რთული მატჩი გველოდა, რადგან „რომა“ დიდი გუნდია, — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამარჯვებულების მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ — მართალია, პირველ შეხვედრაში დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ, მაგრამ ის თამაშიც გაწონასწორებული გახლდათ. გვინდა, ეს გამარჯვება პატრონს, სილვიო ბერლუსკონის მივუძღვნათ. მისი პრეზიდენტობის პერიოდში „მილანს“ მხოლოდ ორი ჯილდო არ ჰქონდა მოგებული, იტალიისა და უეფას თასები, ამიტომაც სეზონის დაწყებისას დავპირდით, რომ კოპა იტალიისთვის სერიოზულად ვიბრძოლებდით. უნდა ითქვას, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება ისეთი მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ, რომ დღეს ამ შეხვედრაში მობილიზებისთვის გვარიანი მსხვერპლის გაღება მოგვიხდა“.

ჯენარო გატუზო მილანის საზოგადოებრიობამ ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრის გმირად მიიჩნია და ამიტომ, მოედანზე გამოჩენისას ოვაცია მოუწყო.

„ჩემთვის ეს სეზონი ისეთი გამოდგა, რომ სიტყვებით ვერ აღვწერ. ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, დილიდან საღამომდე ვმუშობ, დღეს არ ვაცდენ და იმედი მაქვს, ამ დონეზე წლობით შევძლებ თამაშს“ — თქვა გატუზომ.

ფილიპო ინძაგი: „ჩემპიონთა ლიგის ფინალში ფეხი ვიტკინე, მაგრამ, ვინაიდან დღეს გუნდს თავდამსხმელები აღარ ჰყავდა, იძულებული გავხდი, მეთამაშა და, მგონი, მართლა დავიზიანე. მიუხედავად ამისა, ეს სეზონი საუცხოო გამოდგა, ორი თასი მოვიგეთ და 30 გოლი გავიტანე“.

რუი კოშტა: „მთელმა გუნდმა სერიოზულად იმუშავა. გვინდოდა, სეზონი მაღალ ნოტზე დაგვემთავრებინა, რასაც მივაღწიეთ და შემიძლია ვთქვა, რომ განსაკუთრებული წელიწადი გვქონდა“.

კაპიტანი პაოლო მალდინი: „იტალიის თასი დიდებული შეჯიბრებაა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ ამ ჯილდოს მოგება სეზონის დასამთავრებლად ულამაზესი გზა გახლდათ. ლიგაში რომ გავიმარჯვეთ, ვიცოდით, უკვე საზეიმოდ გვქონდა საქმე, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის: წლეულს „სან სიროზე“ დასწრების ყველა რეკორდი მოვხსენით და ქომაგები გავახარეთ“.

„რომას“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ კი შეხვედრა ასე შეაფასა:

„დიდებული თამაში იყო, რომელშიც აშკარად და სრულიად გულწრფელად ვიმსახურებდით გამარჯვებას. მატჩის ცხრა კაცით იყო, მაგრამ ამ სეზონში თანაბრად ვერავის დავუდექით. კასანო საკვანძო მომენტში გაგვიძევეს, სწორედ მაშინ ვთამაშობდით ალმავლობით, ტოტის გაძევება კი, ვფიქრობ, გადაჭარბებული იყო. დღეს კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ტოლს არავის ვუდებთ, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ვერ მოვიგეთ“.

და ბოლოს, ტაიმებს შორის „რომას“ ტიფოზებმა მასპინძელ ტიფოზებთან იჩხუბეს.

**პაატა ძიდია**




ფრანჩესკო ტოტი ამაოდ დაშვრა, მისი ორი გოლი სათასოდ საკმარისი არ გამოდგა

**სერია B. XXXVII ტური**

**ანკონა 2:1 ვენეცია**

1:0 პეროვიჩი (40), 1:1 ფინტინი (81პ), 2:1 ბუდანი (90)

**ბარი 0:0 კალიარი**

**კატანია 3:2 ლივორნო**

1:0 მონაკო (26), 1:1 პროტი (36), 2:1 მარტუშელო (61), 3:1 პოსანცინი (63), 3:2 პროტი (89)

**კოზენცა 1:2 ლეჩე**

0:1 ვუცინიჩი (8), 1:1 ლენტინი (24), 1:2 ვუცინიჩი (46)

**ნაპოლი 1:0 ტერნანა**

1:0 მარკონი (38ს.კ.)

**პალერმო 2:0 ვერონა**

1:0, 2:0 ძაული (7, 32)

**სამპდორია 1:1 მესინა**

0:1 სულო (28პ), 1:1 კოლომბო (76)

**სიენა 4:0 ასკოლი**

1:0 კავალო (45), 2:0, 3:0 ტირიბოკი (58, 86), 4:0 სკალცო (90)

**ტრიესტინა 1:0 ჯენოა**

1:0 პარიზი (29)

**ვიჩენცა 2:2 სალერნიტანა**

0:1 სტენდარდო (46), 0:2 იმპროტა (56), 1:2, 2:2 მარჯოტა (83, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 37 | 17 | 16 | 4 | 52:28 | 67 |
| სიენა | 37 | 17 | 16 | 4 | 46:24 | 67 |
| ანკონა | 37 | 16 | 12 | 9 | 52:39 | 60 |
| ლეჩე | 37 | 14 | 18 | 5 | 43:33 | 60 |
| პალერმო | 37 | 15 | 13 | 9 | 45:39 | 58 |
| ტრიესტინა | 37 | 16 | 9 | 12 | 52:44 | 57 |
| ტერნანა | 37 | 14 | 12 | 11 | 44:36 | 54 |
| კალიარი | 37 | 14 | 12 | 11 | 46:44 | 54 |
| ვიჩენცა | 37 | 13 | 14 | 10 | 54:49 | 53 |
| ლივორნო | 37 | 12 | 12 | 13 | 47:41 | 48 |
| ბარი | 37 | 10 | 18 | 9 | 37:36 | 48 |
| ასკოლი | 37 | 13 | 8 | 16 | 44:50 | 47 |
| ვერონა | 37 | 10 | 15 | 12 | 41:41 | 45 |
| მესინა | 37 | 10 | 15 | 12 | 50:53 | 45 |
| ნაპოლი | 37 | 10 | 14 | 13 | 41:48 | 44 |
| ვენეცია | 37 | 10 | 12 | 15 | 35:48 | 42 |
| კატანია | 37 | 11 | 8 | 18 | 44:58 | 41 |
| ჯენოა | 37 | 8 | 12 | 17 | 44:51 | 36 |
| კოზენცა | 37 | 10 | 6 | 21 | 29:49 | 36 |
| სალერნიტანა | 37 | 4 | 10 | 23 | 27:62 | 22 |

**სერია C1/A**

**პლეი ოფი. საპასუხო მატჩები**

ალბინოლეფე 0:1 პადოვა (2:1)

ჩეზენა 1:1 პიზა (0:1)

**პლეი აუტი. საპასუხო მატჩები**

ლუკეზე 1:1 ალძანო (2:1)

ვარეზე 1:1 კარარეზე (1:1)

**სერია C1/B**

**პლეი ოფი. საპასუხო მატჩები**

პესკარა 2:0 სამბენედეტეზე (0:1)

მარტინა 1:0 ტერამო (0:1)

**პლეი აუტი. საპასუხო მატჩები**

აკილა — პატერნო

*გაიმართება 8 ივნისს (0:1)*

ჯულიანოვა 0:0 სორა (0:0)

### დანია

**სუპერლიგა. XXVIII ტური**

30-ე ტური: ოლბორგი — კიოგე 0:1; ესბიერგი — მიდტიულანდი 4:1; აკადემისკი — სილკებორგი 3:1; კოპენჰაგენი — ოდენსე 1:1; ვიბორგი — ბრონდბიუ 1:1; ორჰუსი — ფარუმი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 30 | 15 | 9 | 6 | 46:31 | 54 |
| ბრონდბიუ | 30 | 14 | 11 | 5 | 54:30 | 53 |
| ესბიერგი | 30 | 12 | 9 | 9 | 64:55 | 45 |
| ფარუმი | 30 | 14 | 3 | 13 | 45:54 | 45 |
| ოდენსე | 30 | 10 | 12 | 8 | 49:42 | 42 |
| მიდტიულანდი | 30 | 11 | 9 | 10 | 44:41 | 42 |
| აკადემისკი | 30 | 9 | 11 | 10 | 39:40 | 38 |
| ორჰუსი | 30 | 10 | 8 | 12 | 46:53 | 38 |
| ვიბორგი | 30 | 9 | 10 | 11 | 49:51 | 37 |
| ოლბორგი | 30 | 11 | 4 | 15 | 37:44 | 37 |
| სილკებორგი | 30 | 8 | 9 | 13 | 43:45 | 33 |
| კიოგე | 30 | 8 | 3 | 19 | 41:71 | 27 |

### ფინეთი

მე-6 ტური: ალიანსი — კუოპიო 5:2; იარო — კტპ 3:1; ჯაზი — ჰამენლინა 2:0; მიუპა — ინტერი 2:2; ტურკუ — ჰიკ 1:0. *იოკერიტი — ტამპერე და ჰაკა — ლაჰტი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალიანსი | 6 | 5 | 1 | 0 | 17:5 | 16 |
| ჰაკა | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| ტურკუ | 6 | 4 | 0 | 2 | 11:7 | 12 |
| მიუპა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 11 |
| ჰიკ | 6 | 3 | 2 | 1 | 7:4 | 11 |
| იოკერიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| ტამპერე | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| ჯაზი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | 7 |
| კტპ | 6 | 2 | 0 | 4 | 9:11 | 6 |
| იარო | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| ჰამენლინა | 6 | 1 | 3 | 2 | 5:9 | 6 |
| ლაჰტი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:5 | 2 |
| ინტერი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | 2 |
| კუოპიო | 6 | 0 | 1 | 5 | 7:19 | 1 |

### ავსტრია

**თასის ფინალი**

**აუსტრია 3:0 კერნტენი**

1:0 იანოჩკო (15), 2:0, 3:0 რუშფელდტი (47, 88)

### ბელგია

**თასის ფინალი**

**სენტ ტრუიდენი 1:3 ლუვიე**

0:1 იშიაკუ (27), 0:2 არტსი (35), 0:3 იშიაკუ (72), 1:3 ბიუვენსი (84)

### რუმინეთი

**თასის ფინალი**

**დინამო 1:0 ნაციონალი**

1:0 ტამეში (30)

### LG CUP. ფინალი

**ნიგერია 3:0დ.დ. (0:0) კამერუნი**

1:0 იობო (98), 2:0 იაკუბუ (100), 3:0 გარბა (102)



„ლუვიემ“ თასით გაიხარა



REUTERS

„ბაიერნმა" თასი მეთერთმეტედ მოიგო, დუბლი კი მეოთხედ შეასრულა

# ბალაკის არაკი
## ცამეტი ბედნიერი რიცხვია

### გერმანია
#### თასის ფინალი

**კაიზერსლაუტერნი 1:3 ბაიერნი**

0:1, 0:2 ბალაკი (3, 103), 0:3 პიზარო (50), 1:3 კლოზე (80)

**კაიზერსლაუტერნი:** ვიზე, ლემბი, ტ. კლოსი, ჰ. კოხი (რიდლი 46), ჩატო, ანფანგი, ლინკოლნი (ტიმი 63), მ. ხრისტოვი, დომინგუში (ტებერი 81), ლოკვენცი, კლოზე

**მწვრთნელი:** ერიკ გერეტსი

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ (ტარნატი 84), ჰარგრივსი, იერემისი (ფინკი 76), ბალაკი, ზე რობერტო (შოლი 76), ელბერი, კ. პიზარო

**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი

**გაფრთხილება:** იერემისი, ანფანგი, კოხი, კლოზე

**გაძევება:** ხრისტოვი (78)

**მსაჯი:** ფროილიხი

70 490 მაყურებელი

| 03.05. | 120 | ვენესუელა-ჰონდურასი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 15.00 | 121 | სამხრეთ კორეა-ურუგვაი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 15.15 | 122 | იაპონია-არგენტინა | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| 22.00 | 123 | აშშ-ახალი ზელანდია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 124 | აშშ-ახალი ზელანდია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.00 | 125 | კოლუმბია-ეკვადორი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

### ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები
4 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.40 | 126 | სანტოსი-ინდეპენდიენტე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |

### კალათბურთი. NBA
4 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.30 | 604 | სან ანტონიო-ნიუ ჯერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 | 1,13 | 1 | 2,46 |

### კალათბურთი. იტალია
3 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 607 | სიენა-ბენეტონი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 23.30 | 608 | სკიპერი-რომა | 1,5 | 12,0 | 2,2 | 1,33 | 1 | 1,85 |

### კალათბურთი. საბერძნეთი
4 ივნისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 621 | ოლიმპიაკოსი-აეკ | 1,5 | 12,0 | 2,2 | 1,33 | 1 | 1,85 |
| 20.00 | 622 | პერისტერი-პანათინაიკოსი | 2,6 | 12,0 | 1,35 | 2,13 | 1 | 1,21 |

# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | |
| 19.00 | 2301 | შოტლანდია-გერმანია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2302 | ბულგარეთი-ბელგია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2303 | ფინეთი-სერბეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.15 | 2304 | დანია-ნორვეგია | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2305 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2306 | შვეიცარია-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| 23.15 | 2307 | ისრაელი-სლოვენია | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | | |
| 19.00 | 2501 | შოტლანდია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2502 | ბულგარეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2503 | ფინეთი-სერბეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.15 | 2504 | დანია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2505 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2506 | შვეიცარია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2507 | ისრაელი-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | |
| 19.00 | 2201 | შოტლანდია-გერმანია | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2202 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2203 | ფინეთი-სერბეთი | 1,9 | 1,7 |
| 22.15 | 2204 | დანია-ნორვეგია | 1,8 | 1,8 |
| 23.15 | 2205 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,85 | 1,75 |
| 23.15 | 2206 | შვეიცარია-რუსეთი | 1,9 | 1,7 |
| 23.15 | 2207 | ისრაელი-სლოვენია | 1,85 | 1,75 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | | | | | |
| 19.00 | 2001 | შოტლანდია-გერმანია | 4,4 | 2,25 | 2,2 | 1,48 | 1,46 | 1,11 |
| 21.00 | 2002 | ბულგარეთი-ბელგია | 2,35 | 2,15 | 4,2 | 1,12 | 1,5 | 1,42 |
| 21.00 | 2003 | ფინეთი-სერბეთი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 22.15 | 2004 | დანია-ნორვეგია | 2,3 | 2,15 | 4,4 | 1,11 | 1,51 | 1,44 |
| 23.15 | 2005 | სლოვაკეთი-თურქეთი | 4,2 | 2,15 | 2,35 | 1,42 | 1,5 | 1,12 |
| 23.15 | 2006 | შვეიცარია-რუსეთი | 2,6 | 2,15 | 3,5 | 1,17 | 1,49 | 1,33 |
| 23.15 | 2007 | ისრაელი-სლოვენია | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | |
| 19.00 | 2401 | შოტლანდია-გერმანია | 2,5 | 1,55 |
| 21.00 | 2402 | ბულგარეთი-ბელგია | 1,6 | 2,4 |
| 21.00 | 2403 | ფინეთი-სერბეთი | 2,0 | 1,8 |
| 22.15 | 2404 | დანია-ნორვეგია | 1,55 | 2,5 |
| 23.15 | 2405 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,4 | 1,6 |
| 23.15 | 2406 | შვეიცარია-რუსეთი | 1,7 | 2,2 |
| 23.15 | 2407 | ისრაელი-სლოვენია | 1,9 | 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | | | | | | | | |
| 19.00 | 2101 | შოტლანდია-გერმანია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 21.00 | 2102 | ბულგარეთი-ბელგია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2103 | ფინეთი-სერბეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 22.15 | 2104 | დანია-ნორვეგია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.15 | 2105 | სლოვაკეთი-თურქეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.15 | 2106 | შვეიცარია-რუსეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.15 | 2107 | ისრაელი-სლოვენია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30

სარბიელი

სპორტული ლატარეა

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ª კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანელის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| ცნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |



ნუგზარ გოგრაჭაძის კბილთა და მატარებლის ბორბალთა ღრჭიალი

# რაღად გვინდა ლოკომოტივი, აგერა გვყავს ლოკომოტივი

თბილისში პოლიტიკური რია-რია მწვიდება და ჰაერში ჯანყის სუნი ტრიალებს: საუბრობენ მიტინგებზე, გამოსვლებზე, დროშების ფრიალზე... ეს ყველაფერი მრავლად გვახსოვს. ისტორიიდან გვახსოვს თბილისის მუშათა ჯანყიც, რაც დეპოში რკინიგზელებმა დაიწყეს.

კვირას დროშების ფრიალით ხალხი დეპოსკენ მიიჩქაროდა და მიტინგების „ლანატრებულნი“ საერთო ფეხის ხმას აყოლით. იქ უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ზოგი დეპოს კედლებზე აბობღებულიყო, ნაწილი მატარებლის შემადგენლობათა კიბეზე აკიდებულიყო ნამოკიდებულიყო, სხვები კი ვაგონების სახურავებზე აბლოტებული გადმოსცქეროდა იქ შეკრებილთ.

და იყო დროშების ფრიალი, მეგაფონში ყვირილი, რასაც ყაყანი და რიარია ახშობდა.

მაგრამ, აი, საოცრებაც, ამ ჯგლეთის ეპიცენტრში ვხედავთ მეგაფონიან ჩვენს კოლეგა განჯი მანიას, რომელსაც თავი ისე ყიჩად უჭირავს, რომ აშკარად „პარადი“ მიჰყავს. მისი რევოლუციონერობის ამბავი აქამდე არ გაგვეგონა, ამჯერად ეპიცენტრისკენ მუჯლუგუნებით და მეტი ინტერესით ვიკვლევთ გზას, ახლოს მისულნი კი უკვე უმეგაფონოდაც კარგად გვესმის განჯი მანიას ყვირილი...

— ახლა, სულ მალე იხილავთ ჩვენს გმირს, მუახველელ ნუგზარ გოგრაჭაძეს. გთხოვთ, უკან დაიხიოთ და სარბიელი გაუთავისუფლოთ, რათა ასპარეზის თავისი ინტერიერი მისია — რაღაც ამგვარს ამბობს განჯი მანია და აგრძელებს — ნუგზარ გოგრაჭაძე აჭარის კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, ამ სახეობებში მრავალი საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონ-პრიზიორია და იქვე დასძენს, 1974 წელს დაიბადაო.

ამასობაში გოგრაჭაძეც გამოჩნდა. ხარივით იყო და, რაკი კიკბოქსინგში და ტაილანდურ კრივში მისი წარმატების ამბავი უკვე ვიცოდით და იქვე მუშტი-კრივით განთქმული ჩვენი პარლამენტის ერთი-ორი წარმომადგენელი და სხვა პოლიტიკოსიც დავლანდეთ, ყოველი შემთხვევისთვის უკან დავიხიეთ. იმან კი, გოგრაჭაძემ, სამი თვის დევის თვალი მოგვავლო, კეთილად გაგვიღიმა და თავისი კეთილგანწყობაც ამით გამოხატა.

ამასობაში განჯი მანია თავისას აგრძელებს:

„ნუგზარ გოგრაჭაძეს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის კბილებით, ასაკის შესაბამისად, დაუძრავს და დაუძლევია: მსუბუქი ავტომობილი, ავტობუსი „იკარუსი“, „კამაზი“, 40-ტონიანი სარკინიგზო-სამგზავრო ვაგონი... ამჯერად, როგორც მოგახსენეთ, გადაწყვეტილი აქვს, კბილებით საერთო ჯამში 224-ტონიანი ოთხი ვაგონის დაძვრა და სულ ცოტა, 3,3 მეტრით გადაადგილება. ეს იქნება გინესის წიგნში ახალული მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება“...

„დიახ, ამ წიგნის მიხედვით, დღეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამაკაცი-ძალოსანი გახლავთ ვალტერ არფე, რომელმაც 1996 წლის 9 ივნისს ბელგიაში ფოლადის ვარლს კბილები ჩაავლო და რკინიგზის 223 880-კილოგრამიანი შემადგენლობა 3,2 მეტრით გადააგორა!“

განჯი მანიამ კიდევ ბევრი რამ საინტერესო მოგვახსენა, მაგრამ თავი რომ აღარ შეგაწყინოთ, ახლა მთავარზე მოგახსენებთ.

ნუგზარ გოგრაჭაძემ ერთი-ორჯერ ღრმად ჩაისუნთქა, გვარლი კბილებში მოიქცია, და...

თქვენც არ მომიკვდეთ, შემადგენლობას ძვრა ვერ უყო.

რამდენიმე წუთში იგივე სცენა განმეორდა და, მესამედაც რომ უნდა აეტეხა კბილთა ღრჭიალი, ვიღაცამ იყვირა, შეხედეთ, ვაგონის ორი ბორბალი „იამაშიაო“.

იმ „იამიდან“ ამოსაყვანად თბილისის ელმავალმშენებელში აგებულ რვალერძიან ელმავალს უხმეს. იმანაც წინ და უკან აგორავა ის ოთხი ვაგონი და, როგორც იქნა, სწორ ადგილზე შეაყენა.

შეაყენა და „სცენაზე“ კვლავ გამოვიდა გოგრაჭაძე, რომელმაც კიდევ ერთხელ ღრმად ჩაისუნთქა, გვარლი კბილებში მოიქცია, დაქაჩა, ფეხებით დაიბუღრავა და კბილების ღრჭიალში ბორბლებმაც დაიღრჭიალეს.

და იხუვლა ხალხმა, იმ გამაყრუებელმა ყიჟინამ გოგრაჭაძეს თითქოს ძალა შემატა და იმანაც ისე გააქანა ლამის ოთხ მეტრამდე, ხელი, უკაცრავად, კბილები რომ არ შეეშვა, ალბათ თბილისის ვაგზლამდეც ჩაახრიგინებდა შემადგენლობას. ყოველ შემთხვევაში, იმ აგორებულმა ვაგონებმა მერე ლამის მოზეიმე ხალხი თავისი გოგრაჭაძიანად ქვეშ მოიქცია.

...ბოლოს კი განჯი მანიასგან, რომელიც საქართველოში ამგვარი უცნაური და უნიკალური შესაძლებლობების ადამიანთა აღმომჩენი და პოპულარიზატორია, ესეც შევიტყვეთ:

„ნუგზარ გოგრაჭაძე მზად არის გამართოს უფრო მასშტაბური, პლანეტის უპირველეს ძალოსნებთან პაექრობანი. მაგალითად, ავსტრალიელ დევიდ ჰაკსლის მსგავსად ბაგირი ჩააბას აეროპორტის ბეტონის მოედანზე შემდგარ ბოინგს და მარტოდმარტომ მხრებით ადგილიდან დაძრას ეს 187-ტონიანი გიგანტი და 91 მეტრით გადაადგილოს იგი“.

ეტყობა, ამ უჩვეულო სანახაობასაც მალე ვიხილავთ.

დეპოში კი ნათელი გახდა, თუ ჩვენი ელმავალმშენებელი ქარხანა რატომ აღარ უშვებს ელმავლებს.

**ავთანდილ ტყვიშელი**

**ავტორის ფოტოები**



ნუგზარ გოგრაჭაძე ახლა კბილებს საბოინგოდ ილესავს

*ქართველმა ძიუდოისტებმა და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ჯამში ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ორიც ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს მაისში გამართულ ევროპის ჩემპიონატებზე. გუშინ სპორტის დეპარტამენტის შენობაში გამართულ ამ ორი სახეობის ერთობლივ პრესკონფერენციაზე წლევანდელ ევროპის ჩემპიონატებზე გამოსვლა შეაჯამეს ძიუდოსა და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა — შოთა ხაბარელმა და ბეგი დარჩიამ*

# კმარა, რაც დაგვიკარგავს!
## მსაჯები და წესები ქართველებს ემტერებიან

*შოთა ხაბარელმა თავისი სიტყვა მსაჯების კრიტიკით დაიწყო:*

— პირველივე წონაში ნესტორ ხერგიანის გამარჯვების შემდეგ მსაჯებისგან ზეწოლას განვიცდიდით. დათო მარგოშვილს ფინალში ორი შედეგიანი გდება არ შეუფასეს. ზვიადაურთან ჰასანბი ტაოვის იუკო იპონად აქციეს. რა თქმა უნდა, ყველაფრის მსაჯებზე გადაბრალება არ შეიძლება, მაგრამ...

ნაკრები კარგად იყო მომზადებული. სამ მედალზე მეტის იმედი გვქონდა. განსაკუთრებით ნესტორ ხერგიანი მინდა, გამოვყო — 1995 წლიდან ჭიდაობს ძიუდოს და არც ერთი ევროპული ტურნირიდან უმედლოდ არ დაბრუნებულა. მართალია, მხოლოდ მეორედ გახდა ჩემპიონი, მაგრამ ყოველთვის სტაბილურ შედეგს აჩვენებს.

ჩოჩიშვილის ბრინჯაოს ჩემთვის ოქროს ფასი აქვს. რომ არა ალექსი დავითაშვილის ტრავმა, რამაზი ევროპაზე ვერ წავიდოდა და შეიძლება ძიუდოსთვის საერთოდ დაენებებინა თავი. შემძლო, გულჯიანი წამყვანა, ანაც ხანჯალიაშვილი ორ წონაში მეჭიდავებინა, მაგრამ მე მაინც რამაზს ვენდე და მანაც გამიმართლა.

*საქართველოს ნაკრები შარშან ევროპის გუნდური ჩემპიონი გახდა. წლეულსაც ოთხ საუკეთესო ნაკრებს შორის მოხვდა და წლის ბოლოს ლონდონში ესპანეთის, ინგლისისა და უკრაინის ნაკრებებთან ჭიდილში შევეცდებით ტიტულის დაცვას.*

*უკვე ორგზის ევროპის ჩემპიონი ნესტორ ხერგიანი ძალიან მორიდებული კაცია. ამბობს, მე ვიჭიდავებ და ტურნირებს მოვიგებ, ჩემზე კი მწვრთნელებმა და შედეგებმა ილაპარაკონო. მართალია, მან თავისი საქმე კარგად იცის და დათო მარგოშვილთან ერთად უკვე გაინაღდა ათენის ოლიმპიადაზე გამოსვლა.*

*ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ბელგრადში გამოსვლა დამაკმაყოფილებლად შეაფასა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა* **ბეგი დარჩიამ**:

— ჩვენ ხერგიანივით სტაბილური მოჭიდავე არა, მაგრამ 2000 წლიდან ევროპის ჩემპიონი ყოველ წელს გვყავს. თან სულ ახალ-ახალი. რამაზ ნოზაძე ჯერ 20 წლისაა და ყველაფერი წინა აქვს. ასეთი ნიჭიერი და ფიზიკურად ძლიერი მოჭიდავე საქართველოში უკვე დიდი ხანია, არ გვყოლია. იმედი გვაქვს, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე და, რაც მთავარია, ათენის ოლიმპიადაზე რამაზი თავის წონაში გამოკვეთილი ლიდერი გახდება.

რომ არა მუხლის ტრავმა, მუხრან ვახტანგაძეც შეძლებდა ჩემპიონობას. მუხრანი გამოცდილი მოჭიდავეა და თავის წონაში საუკეთესოა. ამას ის წლეულსვე, მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამტკიცებს. რაც შეეხება ბადრი ხასაიას და მის ჯგუფიდან ვერგასვლას, ამ ჯგუფში ეგრეთ წოდებული „კარუსელი“ დატრიალდა. ბადრიმ პოლონელი დაამარცხა, პოლონელმა — ფინელდი, ფინელმა კი — ბადრი. ჯგუფიდან ფინელი გავიდა. ხასიამ მხოლოდ დამატებით დროში ჯვარედინი [illegible]ლებით წააგო. წესებზე მინდა ვთქვა — საერთოდაც, რაც უფრო მალე ჩამოყალიბდებიან ფილა-ში და წესების საბოლოო ინსტრუქციას მოგვცემენ, მით უფრო მალე ვასწავლით მოჭიდავეებს, ამ ჯვარედინი მოვლების დროს როგორ მოიქცნენ.

...კვირკველიამ სამი მეტოქე დაჯაბნა, მეოთხედფინალში კი მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონეროღლუსთან დამარცხდა. უკეთ შეეძლოთ გამოსვლა გიორგაძეს და ჭოჭუასაც.

გუნდურ ჩათვლაში ბელარუსი[illegible], რუსეთმა, უკრაინამ და თურქეთმა გაგვასწრო. მსოფლიოს ჩემპიონატზე უფრო მეტი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ მე ჩემს მოჭიდავეებთან ერთად პირობას ვიძლევი, გუნდურ ჩათვლაში აუცილებლად მოვხვდებით სამეულში და პირველობასაც შევეცდებით.

*რა თქმა უნდა, იმედიანი სიტყვა კარგია, მაგრამ შეძლებს მთავარი მწვრთნელი მის შესრულებას? რამაზ ნოზაძის პირადმა მწვრთნელმა ოთარ ტატიშვილმა შეიძლება საქართველო დატოვოს და ეს მაშინ, როცა სპორტის დეპარტამენტი პოლონეთიდან ვანო გრიქუროვის ჩამოსაყვანად საშუალებებს ნახულობს. საქართველოდან ჭიდაობის ის სპეციალისტი აპირებს გაქცევას, რომელმაც მომავალი ოლიმპიადისთვის ნაკრებს ორი წევრი — ნოზაძე და ჩაჩუა აღუზარდა.*

— ჯერ ჩუმად ვარ, ველოდები, რას გადაწყვეტენ, მაგრამ უკვე ექვსი თვეა, ამაოდ. საზღვარგარეთ არა მარტო ხელფასს, ცხოვრების ნორმალურ პირობებს მთავაზობენ. ძალიანაც არ მინდა სამშობლოდან წასვლა, მაგრამ იძულებულს მხდიან — თავის გულისტკივილს გამოთქვამს ოთარ ტატიშვილი.

*იქნებ დროა, დაფიქრდნენ სპორტის დეპარტამენტში, ოლიმპიურ კომიტეტსა და ფონდში და ჭიდაობის ფედერაციაში, მოიჩხრიკონ ჯიბეები და გამონახონ საჭირო თანხა. კარგი სპეციალისტის წასვლა ხომ მისი დაკარგვაა, დაკარგვით კი განა ცოტა დაუკარგავს ქართულ ჭიდაობას და მთლიანად ქართულ სპორტს?*

**შოთა კოპალეიშვილი**



ნუკრი ვარდანიძის ფოტო

ბეგი დარჩია



შოთა ხაბარელი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა 1. 54-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეშვიდე ეტაპი

# დამოკლებულ სამთავროში უილიამსმა იმეფა

**ჯუჯა მონაკო** თავის საიუბილეო, 50-ე დიდი პრიზის გათამაშებას მნიშვნელოვნად სახეცვლილი შეხვდა. ბოლო 30 წელიწადში ტრასას პირველად ჩაუტარდა ასეთი საგრძნობი რეკონსტრუქცია: რამდენიმე ადგილას შეიცვალა წრის კონტური, რომელიც ოცდაათი მეტრით დამოკლდა და ორი სწრაფი მოსახვევიც გაჩნდა. შედეგად, ბუნებრივია, მკვეთრად გაუმჯობესდა სიჩქარის ძველი რეკორდები.

წლეულს, არცთუ იშვიათად, რბოლისას უსწრაფესი წრის დრო საკვალიფიკაციოზე უკეთესია. ეს კი, მოგეხსენებათ, ახალი საპოულე ფორმატის გამოა — ახლა მანქანებში იმაზე ბევრად მეტ საწვავს ასხამენ, ვიდრე ადრინდელ ერთ საკვალიფიკაციო წრეს სჭირდებოდა, რადგან რბოლა ყველამ ჩაუმატებლად უნდა დაიწყოს და ბოქსში შესვლამდე თუნდაც რამდენიმე წუთი გაძლოს. პილოტებს მეტი რა გზა ჰქონდათ და სიახლეს შეეგუენ, მაგრამ მაინც გაისმის ხმები უწინდელ, ოთხცდიანი ვარიანტის დასაბრუნებლად, რაკი უმცირესი შეცდომაც რამდენიმე სასტარტო პოზიციის დაკარგვას უდრის, ვითარების გამოსასწორებლად კი შანსი აღარ რჩება. ამდენად, არაა გამორიცხული, რომ გაისად ძველი წესი აღდგეს. მით უფრო, მონაკოური ეტაპის შემდეგ: მონტე კარლოს უვიწროეს, აღმართ-დაღმართიან და უამრავ მოსახვევიან ქუჩებში, სადაც გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია, უკეთესი საპოულე პოზიცია გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. მაგალითისთვის, მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო მოულოდნელად, უჩვეულოდ უხეირო სასტარტო ადგილებზე აღმოჩნდნენ და ზემოთ ნახსენებ მიზეზის გამო მოგების იმედი თავიდანვე გადაეწურათ, რადგან ძნელი სავარაუდო იყო, რომ ვთქვათ, მიხაელზე ოთხივე წინ მდგომი პილოტი ბოქსებში შეფერხდებოდა, ანდა საერთოდ გამოეთიშებოდა ბრძოლას.

პოული „სამეფო რბოლების" ურთულესი და უმოკლესი ტრეკის უშეცდომოდ გავლით უილიამსელმა რალფ შუმახერმა მოიპოვა, 107-ეტაპიან კარიერაში მეორედ. მას მიკროსკოპული სხვაობით, წამის ოთხი მეასედით ჩამორჩა ჩემპიონატის ლიდერი კიმი რაიკონენი. მეორე რიგში დადგნენ ხუან პაბლო მონტოია და იარნო ტრული, მათ უკან მიხაელ შუმახერი, დევიდ კულჰარდი, რუბენს ბარიკელო, ფერნანდო ალონსო...

მიხაელმა თავისი საკვალიფიკაციო ჩავარდნა ზოგადი ფრაზებით ახსნა, შეცდომა არ დამიშვია, მაგრამ მანქანა რატომღაც ნელა მიდიოდა, შესაძლოა, ეს ჩემამდე ტრასაზე გასული 18 ბოლიდის საბურავებისგან ასფალტზე დარჩენილი რეზინის ბრალი იყოო.

23 წლის ჯენსონ ბატონს არც კვალიფიკაციაში მიუღია მონაწილეობა და არც რბოლაში. მიზეზი შაბათს ვარჯიშისას მისი უმძიმესი ავარია გახდა: ბრიტანელის „ბარი" ტრასის ყველაზე ჩქაროსნულ ადგილზე, გვირაბიდან გამოსვლისას დამცავ ბარიერს საშინელი ძალით მიეხეთქა. მრბოლმა მცირე ხნით გრძნობაც დაკარგა, მერე კი ესლა გაიხსენა: „მართალია, ბეტონის ჯებირთან მიჯახება ძლიერად არ მომჩვენებია, მაგრამ მაინც გავითიშე. არ ვიცი, რამდენი ხანი ვიყავი უგონოდ, მერე ის მახსოვს, რომ ჩემს გამოსაყვანად მარშლებმა კოკპიტი თითქმის მთლიანად დაჭრეს. ფორმულის ექიმმა სიდ უოტკინსმა მითხრა, რომ მე იმ დროს გაუჩერებლად ვლაპარაკობდი, მაგრამ არაფერი მახსოვს. თავიდან ისიც ვერ გავარკვიე, სად ვიყავი და რა მჭირდა, მხოლოდ ფეხების ტკივილს ვგრძნობდი." დაშავებული, ცხადია, კლინიკაში გააქანეს და მართალია, მოტეხილობა ან სხვა რაიმე ტრავმა არ აღმოაჩნდა, უოტკინსმა, რაკი ჯენსონი გულისრევას უჩიოდა, რბოლაში ჩართვის ნება მაინც არ დართო.

მონტე კარლოს ორლობის სიგანის ქუჩებიან საწვალებელში ძრავის სიმძლავრეზე მეტად მისი გამძლეობა და პილოტის უშეცდომო მოქმედებაა გადამწყვეტი. ერთი სიტყვით, იქ მხოლოდ გამარჯვება კი არა, ფინიშამდე მიღწევა და თუნდაც კინკილა ქულის შოვნა ლამის გმირობის ტოლფასია.

სასტარტო ნიშნისთანავე რალფ შუმახერი უსწრაფესად მოსწყდა ადგილს და ადვილად შეინარჩუნა მეწინავეობა. დასაწყისში შეხლა-შემოხლას და შეჯახებას ადგილი არ ჰქონია, თუმც ქარავანში რამდენიმე გადაადგილება მაინც მოხდა: რაიკონენი წამით შეფერხდა და პირველ მოსახვევში მონტოიამ შეასწრო, ასე რომ, რბოლას სათავეში თავიდანვე სერ ფრენკ უილიამსის „ცისფერი დელფინები" მოექცნენ. იყოჩაღა ალონსომ და კულჰარდსა და ბარიკელოს აუარა გვერდი, სამაგიეროდ, ჟაკ ვილნევმა ასევე ორი პოზიციით იზარალა. ავარია შეემთხვა ვეტერან ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს. 36 წლის გერმანელის „ზაუბერი" აუზთან ორმაგ მოსახვევში ვერ ჩაეტია და ბარიერს მიეფშვნა. ტრასაზე, ცხადია, უსაფრთხოების „მერსედესი" გამოჩნდა და ვიდრე გზას ნამტვრევებისგან გაწმენდდნენ, პელოტონი სამი წრე ატარა. ამ დროს ჩასათვლელი რვიანი ასე გამოიყურებოდა: რალფი, მონტოია, რაიკონენი, ტრული, მიხაელი, ალონსო, კულჰარდი, ბარიკელო.

მიხაელი კი ცდილობდა წინ გაჭრას, მაგრამ ტრულის ნელმა ბოლიდმა ამის საშუალება არ მისცა. დაწინაურებულთა ჯგუფში პირველი ცვლილება პიტსტოპის შემდეგ მოხდა, როცა მოლაპარაკებულივით ყველამ მიყოლებით მიაკითხა ბოქსებს საწვავ-საბურავებისთვის. ყველაზე მეტად რალფი დაზარალდა, რადგან პირველმა გაუხვია პიტლაინზე, მის მიმყოლთ კი ორი-სამი წრე ჰქონდათ საკმაო უპირატესობის შესაქმნელად. ერთი სიტყვით, უმცროსი შუმახერი პირველიდან მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა მონტოიას, რაიკონენის და საკუთარი ძმის უკან.

ეს განლაგება მეორე პიტსტოპის შემდეგაც უცვლელი დარჩა, თუმც რაიკონენი, რბოლის ბოლოს კი მიხაელიც ისე დაუახლოვდნენ ლიდერს, კიდევ ხუთიოდე წრეც რომ ყოფილიყო, საპრიზო სამეულს იქნებ სხვანაირი სახეც მიეღო.

ასეა თუ ისე, უსაზღვროდ ბედნიერმა 27 წლის მონტოიამ სამწლიან კარიერაში მეორე გამარჯვება მოიპოვა და ასქულიანი ზღვარიც დაძლია. აღსანიშნავია ხუანის კბილა თანაგუნდელის შედეგიანობაც: რალფი მონაკოური მეოთხე ადგილით ორასქულიანთა კლუბში ჩაეწერა და ამ მაჩვენებლით ფორმულის ისტორიაში 28-ე პილოტი გახდა. ამასთან, პატარა შუმი წლევანდელ სეზონში ერთადერთია, ვინც ქულების შოვნა ყველა ეტაპზე შეძლო.

ბოლოს იმაზეც, რომ 23 წლის რაიკონენმა წლევულს სარეკორდო, მეექვსე პოდიუმით მიხაელ შუმახერთან უპირატესობა ორი ქულით გაზარდა, ამასთან დამოკლებული წრე უსწრაფესად გაიქროლა და მონაკოს ახალი რეკორდსმენიც შეიქნა.

**გია ახალაძე**



REUTERS მონტე კარლოდან

ხუან მონტოიამ ფორმულაში მეორედ მოიგო



REUTERS მონტე კარლოდან

ჯენსონ ბატონი საბედნიეროდ, იოლად გადარჩა

### რბოლის შედეგები

**მონაკოს დიდი პრიზი**
**1 ივნისი. მონტე კარლო**
დისტანცია — 78 წრე — 260,520 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (3) | *მონტოია* (უილიამსი) | 1:42.19,010 (152,8 კმ/სთ) |
| 2. | (2) | *რაიკონენი* (მაკლარენი) | ჩამორჩა 0,602 |
| 3. | (5) | *მ. შუმახერი* (ფერარი) | 1,720 |
| 4. | (1) | *რ. შუმახერი* (უილიამსი) | 28,518 |
| 5. | (8) | *ალონსო* (რენო) | 36,251 |
| 6. | (4) | *ტრული* (რენო) | 40,972 |
| 7. | (6) | *კულჰარდი* (მაკლარენი) | 41,227 |
| 8. | (7) | *ბარიკელო* (ფერარი) | 53,266 |
| 9. | (10) | *და მატა* (ტოიოტა) | 1 წრით |
| 10. | (12) | *ფიზიკელა* (ჯორდანი) | 1 წრით |
| 11. | (14) | *ჰაიდფელდი* (ზაუბერი) | 2 წრით |
| 12. | (16) | *ფირმენი* (ჯორდანი) | 2 წრით |
| 13. | (17) | *პანი* (ტოიოტა) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (11) | *ვილნევი* (B.A.R) | გაიარა 63 წრე |
| (19) | *უილსონი* (მინარდი) | 28 |
| (18) | *ფერსტაპენი* (მინარდი) | 27 |
| (9) | *ვებერი* (იაგუარი) | 15 |
| (13) | *პიცონია* (იაგუარი) | 9 |
| (15) | *ფრენცენი* (ზაუბერი) | 0 |
| | *ბატონი* (B.A.R) | მონაწილეობა არ მიუღია |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

**პოული**
*რ. შუმახერი* 1.15,259 (159,8 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
*რაიკონენი* 1.14,545 (161,3 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ.ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **რაიკონენი** მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | 8 | 8 | | | | | | | | | | 48 |
| 2 **მ. შუმახერი** ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | 10 | 6 | | | | | | | | | | 44 |
| 3 **ალონსო** რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | – | 4 | | | | | | | | | | 29 |
| 4 **ბარიკელო** ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | 6 | 1 | | | | | | | | | | 27 |
| 5 **მონტოია** უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | – | 10 | | | | | | | | | | 25 |
| 6 **კულჰარდი** მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | 4 | 2 | | | | | | | | | | 25 |
| 7 **რ. შუმახერი** უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | 4 | 3 | 5 | | | | | | | | | | 25 |
| 8 **ტრული** რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | 1 | 3 | | | | | | | | | | 13 |
| 9 **ფიზიკელა** ჯორდანი, იტალია | – | – | 10 | – | – | – | – | | | | | | | | | | 10 |
| 10 **ბატონი** B.A.R, დ.ბრიტანეთი | – | 2 | – | 1 | – | 5 | – | | | | | | | | | | 8 |
| *ფრენცენი (ზაუბერი) — 7; ვებერი (იაგუარი) — 4; ვილნევი (B.A.R), და მატა (ტოიოტა) — 3; ჰაიდფელდი (ზაუბერი), ფირმენი (ჯორდანი) — 1 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 **მაკლარენი** | 16 | 5 | 13 | 12 | – | 12 | 10 | | | | | | | | | | 73 |
| 2 **ფერარი** | 5 | 11 | – | 16 | 16 | 16 | 7 | | | | | | | | | | 71 |
| 3 **უილიამსი** | 9 | 5 | 2 | 7 | 9 | 3 | 15 | | | | | | | | | | 50 |
| 4 **რენო** | 6 | 10 | 7 | 3 | 8 | 1 | 7 | | | | | | | | | | 42 |
| 5 **ჯორდანი** | – | – | 10 | – | 1 | – | – | | | | | | | | | | 11 |
| *B.A.R — 11, ზაუბერი — 8, იაგუარი — 4, ტოიოტა — 3 ქულა* | | | | | | | | | | | | | | | | | |

# სულ თიხაში ამოგანგლეს...
## ჰიუიტი პარიზმა არ მიიღო


REUTERS
მკვლელი და მსხვერპლი: ტომი რობრედო და მისგან ძლეული ლეიტონ ჰიუიტი

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ლეიტონ ჰიუიტი უკანა ხაზიდან მოთამაშედ ითვლება და ყველა საკორტო კანონზომიერებისდა თანახმად თიხნარს შინაურ საფარად უნდა თვლიდეს, მაგრამ მსოფლიოს პირველი მეჩოგნისთვის ძალლის თავი სწორედ თიხნარშია დაფლული. კისკას ავსტრალიელს კი მოუგია ამ სახის კორტებზე, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინ, 1999 წელს, ისიც „დილეი ბიჩის" მჭლე ტურნირი. მაშინ ოზბიჯი მართლა ბიჭი იყო, 19 წლისა ძლივს მოიყრებოდა. მას შემდეგ ჰიუიტმა ტან-კუნთიც გაიმაგრა, გამოცდილებაც გაიღრმავა და — ესეც სათქმელია — მეტოქეებიც დააშინა, მაგრამ რად უნდა, მისდა სავაგლახოდ, თიხნარტურნირებზე და მათ შორის როლანგაროსულ სეფეთიხაზე ფინალისწინა ეტაპებზე უდროოდ ხმება ტანსარო ავსტრალიელი.

ყველაფერ ზემოთქმულისდა გამო არც წლევანდელ როლან გაროსზე იგეგმებოდა ჰიუიტის ზეობა და, აჰა, ახლანდელი საჩოგბურთო მსოფლიოს პრინცის ჯახირი სადღაც მესამე წრეში — საიდანაც ფინალამდე კიდევ ბევრი კორტია — შეწყვიტა არცთუ მაღალ ნომრად განთესილი ესპანელი ტომი რობრედოს მონდომებულმა ჩოგანმა.

„ჰიუიტი ნებისმიერ საფარზე ძნელი დასამარცხებელია. მოდუნების უფლებას არ გაძლევს. ის ყოველ მომდევნო ბურთს ცივი გონებით აწვდის, ისე, რომ ყურადღებას არ აქცევს წინა გათამაშების შედეგს, ამიტომაა ის ბოლომდე საშიში. იმ შემთხვევაში გაქვს მასთან შანსი, თუ თავიდან ბოლომდე მაგრად დაუდგები. მთავარი კი ისაა, რომ პირველ რიგში შენს გონებაში მოაწესრიგო ყველაფერი" — ჰიუიტის მძლეველმა ტომი რობრედომ ალალად გაგვიმხილა მსოფლიოს უმძლავრესი მეჩოგნის ძლევის საიდუმლო.

არადა, ჰიუიტი გამარჯვების ზღურბლზე იდგა, მოიგო პირველი და მეორე სეტები და მესამეშიც ომახიანად შეება თითქმის მისკბილა ესპანელს, მაგრამ მეშვიდე გეიმში წაიფორხილა, 3:3 ანგარიშზე საკუთარი მოწოდება დათმო და მერე წელში ველარ გაიმართა. რობრედომ თავის მოწოდებაც შეინარჩუნა და სეტის მოგების შემდეგ აღარც ამოასუნთქა მეტოქე.

შაბათს მესამე წრის სხვა კაცთა მატჩებში სენსაციები აღარ მომხდარა. თიხნარის ლათინელმა ლომებმა ფავორიტგამოუკლებლივ გაიარეს მესამე წრე. აი, მეოთხე წრეში კი, რაც როლანგაროსისთანა ვეება ტურნირზე მერვედფინალს უტოლდება, ბევრი მძლავრი მეთიხნარე შეასკდა ერთმანეთს. მაგალითად, კარლოს მოიას მე-13 ნომრად განთესილი ჩეხი, ირჟი ნოვაკი ერგო, ხოლო ესპანელსავე კოლობიჭ ხუან კარლოს ფერეროს — აგრეთვე ესპანელი ფელიქს მანტია. პარიზული პუბლიკა ამ ორ წყვილში დიდ განდაგანას ელოდა, მაგრამ ხალხს ბილეთებში გაცემული ფული ნაცარში ჩაუცვივდა — ფავორიტებმა აქაც იძალეს, უფრო კი ფერერომ, რომელმაც მანტიას სამ სეტში 18 ართმეული გეიმის საპირისპიროდ ოდენ ოთხი დაუთმო.

ეს საფეხური აგრეთვე იოლად დაძლია ჰიუიტის გავარდნის შემდეგ ყველაზე მაღალ ნომრად დარჩენილმა ანდრე აგასიმ, ასე რომ, როლან გაროსზე ჯერ წინაა მთავარი მატჩები. სულ ბოლოს კი მეოთხე წრიდან გავარდა როლან გაროსის რამდენჯერ მომგები გუსტავო კუერტენი. მისი მძლეველი, იქნებ თქვენც მიხვდეთ და ჰიუიტის განრანღურებელი ტომი რობრედო გახლავთ.

### კაცები

### მესამე წრე

**ტომი რობრედო** (28, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 4:6, 1:6, 6:3, 6:2, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (3, ესპანეთი) — ტიმ ჰენმანი (25, ბრიტანეთი) 4:6, 6:2, 6:4, 6:2; **ალბერტ კოსტა** (9, ესპანეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 4:6, 4:6, 6:3, 6:4, 6:4; **ფერნანდო გონსალესი** (19, ჩილე) — სხენგ შალკენი (12, ჰოლანდია) 7:6 (7:4), 6:7, 3:1 შალკენმა შეწყვიტა; **იარკო ნიემინენი** (30, ფინეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:7 (1:7), 6:4, 6:2, 3:6, 6:3; **არნო კლემანი** (32, საფრანგეთი) — ნიკოლას კუტელო (საფრანგეთი) 6:4, 6:7 6:2; **გუსტავო კუერტენი** (15, ბრაზილია) — გასტონ გაუდიო (21, არგენტინა) 7:6 (7:1), 7:5, 5:7, 6:3; **ფელიქს მანტია** (20, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:3, 6:3.

### მეოთხე წრე

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:2, 6:1, 7:5; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — ირჟი ნოვაკი (13, ჩეხეთი) 7:5, 6:3, 6:2; **გილერმო კორია** (7, არგენტინა) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:4), 5:7, 6:7 (4:7), 6:4; **მარტინ ვერკერკი** (ჰოლანდია) — რაინერ შიუტლერი (11, გერმანია) 6:3, 6:3, 7:5; **ფერერო** — ფელიქს მანტია (20, ესპანეთი) 6:2, 6:1, 6:1; **გონსალესი** — ნიემინენი 6:3, 6:37 6:2; **რობრედო** — კუერტენი 6:4, 1:6, 7:6 (7:2), 6:4; **კოსტა** — კლემანი 6:2, 7:5, 7:5


REUTERS
სხვა ბობოლებისგან განსხვავებით კიმ კლაისტერსი ძალუმად მიიბრძვის

# ნაზი ურდო
## პატარა რუსებმა ამხელა ამერიკელები გამოყარეს

### ქალები

### მესამე წრე

**კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — პაოლა სუარესი (30, არგენტინა) 6:2, 6:1; **ვინუს უილიამსი** (3, აშშ) — სილვია ფარინა ელია (26, იტალია) 6:1, 6:2; **ლინდსი დევენპორტი** (6, აშშ) — ნატალი დეში (25, საფრანგეთი) 6:2, 7:5; **ჯენიფერ კაპრიატი** (7, აშშ) — იულია ვაკულენკო (რუსეთი) 6:1, 6:2; **მაგდალენა მალეევა** (15, ბულგარეთი) — რიტა გრანდე (იტალია) 6:3, 2:6, 6:3; **ვერა ზვონარევა** (22, რუსეთი) — მარია ანტონია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 6:3, 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (24, ესპანეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:3, 6:3; **ნადია პეტროვა** (რუეთი) — მარისა ირვინი (დიდი ბრიტანეთი) 6:1, 6:1.

### მეოთხე წრე

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — აი სუგიამა (16, იაპონია) 7:5, 6:3; **კლაისტერსი** — მალეევა 0:6, 6:2, 6:1; **ზვონარევა** — ვინუს უილიამსი 2:6, 6:2, 6:4; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (4, ბელგია) — პატი შნიდერი (19, შვეიცარია) 6:3, 2:6, 6:2; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:1, 6:2; **მარტინესი** — დევენპორტი 6:4, 2:0 დევენპორტმა შეწყვიტა; **პეტროვა** — კაპრიატი 6:3; 4:6, 6:3; **ჩანდა რუბინი** (8, აშშ) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 4:6, 6:2, 7:5.

მათ, ვისაც დიდი სლემის ფინალებში შავდა უილიამსების წყვილად ხილვა მობეზრებიათ, შეუძლიათ მადლობა უთხრან რუს თინეიჯერ ვერა ზვონარევას. 19 წლიასამ და საფრანგეთის ღია პირველობაზე 22— ნომრად გამთესილმა რუსგოგომ ქალთა ბადის მეოთხედფინალში ვინუს უილიამსი იმსხვერპლა და ფინალში კარგად გაშიფრული შავულიამსური სანახაობის ხილვის „ბედნიერება მოგვაკლო". არადა, წელიწადზე მეტია, სლემტურნირების ფინალები მხოლოდ დების გოლიათურ ფეხებქვეშ იჯეგება და პირადოჯახურ გარჩევად ქცეულა.

მეორე შავდა სერენამ კი გაიარა მერვედფინალი, მაგრამ მყვირალა იაპონელ აი სუგიამსათან საკმაოდ დამღლელ მატჩს იოლი გამარჯვებისა ვერა, მაგრამ საკუთარი ოფლის გემო კი ჩაატანა.

ვინუს უილიამსთან ერთად მერვედფინალში რუსთა ჩოგნის ქვეშ დაეცნენ თეთრი ამერიკელი ბობოლებიც — ჯენიფერ კაპრიატი და ლინდსი დევენპორტი. სხვათა შორის, ჯანიანი კაპრიატიც რუსულმა ჩოგანმა მოდრიკა — ჯენიფერს სამ სეტში მოუგო 20 წლის ნადია პეტროვამ, რომელსაც სპორტული სამყარო აქამდე სპორტსმენი მშობლების გამო თუ იცნობდა. დედამისი ნადეჟდა ილინა 1976 წლის მონრეალის ბრინჯაოს პრიზიორია 400 მეტრზე რბენაში, ხოლო მამა ვიქტორ პეტროვი უროს მტყორცნეში განთქმული კაცი.

ტურნირის დაწყებამდე ასეთ პროგნოზს კაცი ვერ გააკეთებდა, ახლა კი ასე გამოდის, როლან გაროსის ნახევარფინალი რუსის გარეშე არ ჩაივლის. პეტროვა და ზვონარევა ერთმანეთს ეჯახებიან მეოთხედფინალში და, ცხადია, ერთ-ერთი მათგანი შემდეგ წრეშიც შეაბიჯებს. გამარჯვებულ ბედნიერს იქ ან კიმ კლაისტერსი დაუხვდება, ანაც ძირძველი როლან გაროსელი კონჩიტა მარტინესი.

**კოტე ყორშია**

# ამბავ-ხაბარი

### ბაყვბაყვდევი ვერ გაძღა

რაც რომ ჩოგანი ხელში აიღო, სერენა უილიამსმა მხოლოდ კორტზე სირბილით შინ 11 მილიონი დოლარი შეზიდა. ამ ფულზე, ცოტააო, ბევრი სპორტსმენი როდი იტყვის, მაგრამ, აი, სერენას კი ეცოტავება. ამბობს, ფულმა ჩემთვის ხიბლი ჯერ ვერ დაკარგაო. წლეულს მან წვრილმან ტურნირებთან ერთად ავსტრალიის ღია პირველობის სლემტურნირიც მოიგო, რითაც თავის განიერ ჯიბეში 654 ათასი ჩაიჩხრიალა და მალე ვინძლო, საფრანგეთის ღია პირველობის მთავარტიტული და მისი მომყოლი 966 ათასიც დაისაკუთროს. მაგრამ მას ეს არ ყოფნის და დარჩენილ ტურნირთაგან აუცილებლად შესასრულებელ მიზნად ამერიკის ღია პირველობის მოგებაც დაუსახავს.

„ამერიკის ღია პირველობა ყოველთვის საბრძოლოდ განმაწყობდა, მისი მოგება ყოველთვის ყველაზე ძალიან მინდოდა, იმიტომ, რომ იქ ბლომად მწვანეებს იხდიან. როგორც ვიცი, წლეულს გამარჯვებულის წილი 950 ათასია, არა? ვის არ ალაგზნებს ეს თანხა?"

### ჟუსტინის დღე

კვირას დილით ჟუსტინ ენენ-არდენის ქმარმა დილის რიჟრაჟზე თვალი რომ გაახილა, ჟუსტინი მას მშიერი ფრინველივით დააცხრა და კარგა ხანი არ მოასვენა კაცი. განა რასმე უხამსს ვგულისხმობთ, იმას ვამბობთ, ბელგიელი გოგო მეჩოგნე მეუღლეს იმას ეკითხებოდა, აბა დღეს რა ხდებაო. ქმარი მიხვდა, რომ თუკი რამ ხდებოდა უეჭველად მის ცოლს თავს, ცოტა ძალა დაატანა ბოლომდე გამოუფხიზლებელ ტვინს და გაიხსენა, რომ იმ დღეს ცოლი როლან გაროსის მეოთხე წრეში თამაშობდა. მაგრამ ეს ის არ იყო, რის გახსენებასაც ჟუსტინი ითხოვდა თან ასე.

„სანამ ვეტყოდი, რამდენიმე წუთი ვაწვალე" — აცნობდა ფუთკარივით ბელგიელი. ბოლოს, ცხადია, „გატყდა" და ქმარს მიახარა დღეს ჩემი დაბადების დღეაო. ჟუსტინ ენენი არდენისა 1 ივნისს 21 წლისა შესრულდა.

გულმავიწყი ქმრის იმედზე როგორ იქნებოდა. ჰოდა ენენმაც თავად გაიკეთა საჩუქარი — დაბადების დღეზე პატი შნიდერს მოუგო და მეოთხედფინალსაც უწია, სადაც ჩანდა რუბინს შეხვდება.


REUTERS
ჟუსტინ ენენ-არდენი ამ დღეებში 21 წლისა მოიყარა

# კოცნა ლოჟაში

როლან გაროსის ცენტრალურ კორტზე ერთმანეთს ტიმ ჰენმანი და ხუან კარლოს ფერერო ებრძვიან, ვიპ ლოჟაში გამომჯდარ ვეტერან ფრანგ ანრი ლეკონტს კი სიყვარულის ბუშტი გასკდომია და თავის ახალ გელფრენდს ჩაკონებია. ისე, გელფრენდი უფრო მოწადინებული ჩანს.



REUTERS პარიზიდან



REUTERS კატმანდუდან

# ევერესტის შვილები

კატმანდუში, დიახაც, გრძელდება ევერესტის დაპყრობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ახალზელანდიელ სერ ედმუნდ ჰილარისა და შერპ თენსინგ ნორგეის შვილები, პიტერი და ჯამლინგი იქ არიან და თავადაც, მამათა კვალად დალაშქრული აქვთ სამყაროს უმაღლესი წერტილი.



REUTERS ბერლინიდან

# გოლი

გერმანიის თასის ფინალი ფეხბურთში. ქალთა გუნდები: „ფრანკფურტი" „დუისბურგი" და გახარებული ანა კუნცერი, რომელსაც გამარჯვების გოლი გაუტანია.

# რუსული წყალკარუსელი



REUTERS სტამბოლიდან

სტამბოლში კვირას დასრულდა სინქრონულად ცურვის ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ჩემპიონობა რუსმა ქალებმა მოიპოვეს, რომელთაც თავიანთი წყალთმავალობის ოსტატობით გადაუსწრეს ესპანელებსა და ბერძნებს. ამ ფოტოზეც სწორედ რუსთა მომხიბვლელი გამოსვლაა აღბეჭდილი.

# მონეგასკების გზაზე



REUTERS მონტე კარლოდან

ისე დაემთხვა, რომ მონტეკარლოს საფორმულე დიდი პრიზის გათამაშების შაბათ-კვირას მონაკოს უფლისწული რენიე ოთხმოცი წლისა შესრულდა და მთელი ოჯახობით დაესწრო რბოლას. აი, მისი შთამომავლობის ერთი კუთხე: (მარცხნიდან) შვილიშვილი ანდრეა კაზირაგი, ამ ანდრეას დედა კაროლინა, შარლოტა კაზირაგი, უფლისწული ერნსტ ავგუსტ ჰანოვერელი და პიერ კაზირაგი. ამასობაში კი რბოლა უილიამსელმა ხუან პაბლო მონტოიამ მოიგო, მიხაელ შუმახერი კი, რომელსაც ბორბლიანი ყველაფერი უყვარს, მესამე იყო.




REUTERS მონტე კარლოდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლეკაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოღრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge